საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

57

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 29 (1045)

შაბათი, 18 მარტი, 1995 წელი.

ფასი 200 000 კუპონი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნომერში

- ოფიციალური ინფორმაცია. მე-2 გვ.
- „ამინ იყოს, ბატონო იგორ! ამინ იყოს!“ მე-3-4 გვ.
- ერთად უნდა ვებრძოლოთ! მე-4 გვ.

ხვედრები სახელმწიფოს აურთან

არტს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარ- მიიღო გაეროს მისიის ხელმძღვანელი საქართველოში თეოდორ ჰევიჩი.

ბარი შეეხო გაეროს ეგიდით მიმდინარე აფხაზეთის კონფლიქტის არიგებას და, კერძოდ, მარტის პირველ რიცხვებში შემდგარ ექს- თა შეხვედრას აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ. მარ- ვე გაიმართება იგივე ჯგუფის მორიგი შეხვედრა. ისაუბრეს აგრეთ- ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა დაბრუნების სა- ხის თაობაზე.

სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა გაეროს მისიის ხელ- ვანელს გაწეული მუშაობისათვის.

• • •

ვე დღეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შე- ძემ მიიღო ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორ- ციის მისიის ხელმძღვანელი საქართველოში ჰანს იორგ აიფი.

რი შეეხო 1 მარტს ვლადიკავკაზში საქართველოს პოლიტი- არტიების და ყოფილი სამხრეთ-ოსეთის საზოგადოებრიობის ადგენლებთან შეხვედრას. როგორც სტუმარმა აღნიშნა, ავტო- პროექტს ვლადიკავკაზში მხარი დაუჭირა საქართველოს სამმა კურმა პარტიამ.

მწიფოს მეთაურმა სტუმარს აცნობა, რომ მან ამ რამდენიმე ჩათ, გორში ყოფნის დროს მკაცრი შეფასება მისცა ქართული ოლს შიდა ქართლში მიმდინარე პროცესებში, ხაზი გაუსვა ქების აღიარების აუცილებლობას ამ პროცესების მშვიდობიან ოში გადასაყვანად. დაგმო თბილისიდან და, საერთოდ, საქარ- ოდან ოსების გასახლების ფაქტები. რაც შეეხება სტატუსის სა- ს, ეს უნდა გადაწყდეს საქართველოს ტერიტორიული მოწყობისა ონსტიტუციის ფარგლებში.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

სააქციო-კომერციული ბანკები სერიოზულ ძალად იქცნენ

ლოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მე- რდ შევარდნაძე შეხვდა რესპუბლიკის წამყვანი სააქციო- ბანკების ხელმძღვანელებს.

განიხილეს ქვეყნის საბანკო სისტემაში აქციონირების მდინარეობის შედეგები, ბანკების განვითარების სხვადა- ური საკითხები.

რომ მიუხედავად სიძნელეებისა და დაბრკოლებებისა სა- ანკებმა მოკლე დროში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. სისტემაში თანდათანობით ინერგება საქმიანობის სხვადასხვა ული ფორმები და მეთოდები. კერძოდ, ბანკირებთან ერთად ერთ-ერთი ალკოჰოლიანი სასმელების ჩამომსხმელ საწარ- შემუშავებული იყო ყოვლისმომცველი ბიზნეს-გეგმა, რო- მედგენილია მსოფლიო სტანდარტების დონეზე.

ედრაზე აგრეთვე აღინიშნა, რომ ახლა აუცილებელია ბანკებმა საქმიანობაში უპირველესი ყურადღება მიაპყრონ მრეწველო- მეწარმეობას, სახალხო მეურნეობის ყველაზე პერსპექტიული და- ების განვითარებას.

სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, რომ სააქციო-კომერციული ბანკები რესპუბლიკაში სერიოზულ ძალად იქცნენ. ამჟამად აუცილებელია ამ ბანკების კიდევ უფრო მეტი მომძლავრება, რაც, უწინარეს ყოვლისა, ხელს შეუწყობს ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობის დანერგვის პროცესის მიმდინარეობის დაჩქარებას.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

თ. მამაცაშვილის დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებულ სამეფოში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ

უშნოს თეიმურაზ მამაცაშვილი საქართველოს რესპუბლიკის ო და სრულუფლებიან ელჩად დიდი ბრიტანეთისა და ჩრდი- ირლანდიის შეერთებულ სამეფოში.

ე. შევარდნაძე.

95 წლის 16 მარტი.

რთველოს სახელმწიფოს მეთაურის

დადგენილება

პ. ცინცაძის საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატთან არსებული მცირე ჰესების მშენებლობის პრობლემური ცენტრის ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს პაატა ცინცაძე საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატთან არსებული მცირე ჰესების მშენებლობის პრობლემური ცენტრის ხელმძღვანელად.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

პარლამენტის წევრის თენგიზ კიტოვანის დაპატიმრების საკითხის შემსწავლელი დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

იქმნას პარლამენტის წევრის თენგიზ კიტოვანის დაპატიმრების ხის შემსწავლელი დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით: მურ ბახტაძე, ვასილ ბუზალაძე, თენგიზ დიხამინჯია, დავით კუპ- ილი, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ლევან მესხი, გელა ნიკოლაიშვი- გიზო როგავა, ავთანდილ ტყებუჩავა, ლუიზა შაკიაშვილი, დიმიტ- იტლოვი, ანზორ წოწონავა, ომარ ხუციშვილი.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

ილისი, 1995 წლის 8 მარტი.

ართველოს სახელმწიფოს მეთაური

ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის დროებით დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის დროებითი დებულების მე-2 თავის მე-8 მუხლის პირველი ნაწილიდან სიტყვების „ქ. თბილისის პროკურატურის“ შემდეგ ამოღებულ იქნეს სიტყვები: „ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურა“ და დაემატოს სიტყვები: „სამხარეო პროკურატურა, საქართველოს ტრანსპორტის პროკურატურა“, შემდეგ როგორც ტექსტშია.

იმავე ნაწილში სიტყვებს „შრომა-გასწორების დაწესებულებებში კანონების დაცვაზე ზედამხედველი“-ს შემდეგ დაემატოს სიტყვები „და ტრანსპორტის“, შემდეგ როგორც ტექსტშია.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1995 წლის 12 მარტი.

ქუთაისი—სატახტო—1000

საქართველოს სახელმწიფოებრიობის

აღდგენის 1000 წლისთავისადმი +

მიძღვნილი იუბილეს აღსანიშნავად

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით შედგა გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და მის სატახტო ქალაქად ქუთაისის გამოცხადების 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილეს აღნიშვნის საიუბილეო კომისიის სხდომა.

სხდომაზე გამოვიდნენ ქ. ქუთაისის მერი თემურ შაშიაშვილი, აკადემიკოსები მარიამ ლორთქიფანიძე, როინ მეტრეველი, საქართველოს დემოკრატიისა და აღორძინების ფონდის დირექტორატის საბჭოს თავმჯდომარე სოლიკო ხაბეიშვილი, მინისტრთა კაბინეტის აპარატის ხელმძღვანელი ვალერი ასათიანი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე აკაკი სიხარულიძე. მათ აღნიშნეს, რომ დღეს ჩვენი ქვეყნისათვის დაძაბულობისა და დაქსაქსულობის ჟამს ამგვარი ღონისძიების გამართვა განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ყურადღებას შეიძენს, მით უმეტეს, რომ იგი რესპუბლიკური, სრულიად საქართველოს მასშტაბისა იქნება და იუნესკოს გენერალური მდივნის ფედერიკო მაიორის თანხმობით იუნესკოს ეგიდით მოეწყობა. ითქვა, რომ საიუბილეო კომისიის მიერ შემუშავებული პროგრამის მიხედვით სამეცნიერო ღონისძიებების ნაწილი მეცნიერებათა აკადემიის, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შემოქმედებითი კავშირების მხარდაჭერით უკვე გაიმართა. კომისიის გადაწყვეტილებით ამ თარიღისათვის ცალკე წიგნად გამოიცემა სამეცნიერო კონფერენციებზე წარმოდგენილი მოხსენებები, ქ. ქუთაისში დაიდგმება დავით აღმაშენებლის ძეგლი, გაიხსნება დავით აღმაშენებლის პროსპექტი.

სხდომაზე დამსწრეებმა გამოთქვეს აზრი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე დაამთხვიონ საერთაშორისო ფორუმს — „კულტურათა დიალოგი“, რომელიც იუნესკოს გენერალური მდივნის ფედერიკო მაიორისა და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის კოპენჰაგენში შეხვედრისას მიღებული გადაწყვეტილებით 13-15 ივლისს გაიმართება ქ. თბილისში.

— რადგან მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრები გავხდით, მსოფლიოს წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ჩვენს ქვეყანაზე. საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილეს აღნიშვნა და საერთაშორისო ფორუმის გამართვა იმ პროცესის ნაწილია, რომელსაც მსოფლიო თანამეგობრობაში საქართველოს ადგილის დამკვიდრება ჰქვია, — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ. მან დადებითად შეაფასა ორი მნიშვნელოვანი თარიღის დამთხვევის იდეა. მისი თქმით იუბილე სიმბოლურ ხასიათს ატარებს, მას, როგორც სახელმწიფოებრივი, ასევე პოლიტიკური დატვირთვაც ექნება, რადგან დღეს საქართველო გაერთიანების, სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროცესშია.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

განსჯა

ბნელი ოთახი, შავი კატა და... +

დუმილი, რომელიც მუდამ არ არის თანხმობის ნიშანი და არც ოქროა მუდამ

— **ჩვენ** უნდა დავიჭიროთ შავი კატა ბნელ ოთახში, თუნდაც იგი იქ სულაც არ იყოს! — ხომ გახსოვთ არავიძის ეს დევიზი კინოფილმ „მონანიებიდან“.

დიახ, თქმა და ქმნა ერთი იყო! იჭერდნენ არარსებულ კატებს..., არც თუ შორეულ წარსულამდეც კი...

თუმცა რაღა წარსულზე ვლაპარაკობთ. ბევრნი ამას ახლაც მშვენივრად ახერხებენ.

ფაქტები? —— რამდენიც გნებავთ!

ორიოდ კონკრეტულ გამოცანა-მაგალითს მაინც მოვიტან, რათა განსჯის საშუალება გვქონდეს:

კერძოდ, შეიძლება თუ არა, რომ ერთმა ავტოცისტერნამ ერთ დღეში საჩხერიდან თბილისამდე ოთხი რეისი გააკეთოს?

— თუ კაცი მოინდომებს, შეუძლებელი არაფერია, — გაკერპდებიან, ალბათ, ბნელ ოთახში შავ კატებზე ნადირობის მოყვარულნი.

დროებით დავუჯეროთ ამ უკანასკნელთ და ახლა სხვა კუთხით მივუდგეთ ამ გამოცანას: კანონიერად ჩაითვლება კი ეს ოპერაცია, თუ საჩხერის შამპანური ღვინომასალებისა და საკონიაკე სპირტის წარმოების სახელმწიფო სამრეწველო კომერციული ფირმა „ჩიხურადან“ ამ გზით გამოგზავნილი 2020 დალი ღვინომასალის შემოსავალში ალების დამადასტურებელი საბუღალტრო დოკუმენტები მიმღებ ორგანიზაციას — საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „გტს“ საერთოდ არა აქვს?

— მერე რა მოხდა, დღეს ადამიანები ქრებიან უგზო-უკვლოდ და რაღაც ფარატინა ქაღალდი არ შეიძლება დაიკარგოს? — კვლავ შეუვალია შავი კატების მაძიებელთა პოზიცია.

კეთილი, ბატონო, ამჯერადაც დავეთანხმოთ მათ, რადგან მთლად ტყუილს არ ამბობენ, და ბოლო კითხვაც დავსვათ:

— კი, მაგრამ, თუ ის ავტოცისტერნა იმ დღეს საერთოდ არ გამოსულა ავტოფარეხიდან, მასზე საგზურებიც არავის გამოუწერია და მისი მძღოლი ა. კაპანაძეც თავის ახსნა-განმარტებით ბარათში ამბობს ქარხნიდან ღვინო საერთოდ არ მიმიღია და არც გადამიზიდავსო?

— ღმერთი არ არის? ბნელა?

როგორც ჩანს, მართლაც ბნელა...

ასეთი სიტუაცია კი ამავე ქარხნის ზოგიერთ პასუხისმგებელ პირს ყველა „პირობას“ უქმნის იმისათვის, რომ, ვთქვათ, საწარმოს სპირტის გამოსახდელ საამქროს თვითნებურად დააწეროს დიდძალი ღვინომასალა, ამ საამქროში მისი მიღების დოკუმენტსაც თავად მოაწეროს ხელი, რამდენიმე დღის შემდეგ კი თავისივე ხელმოწერით დაადასტუროს საამქროდან შესაბამისი ოდენობის უწყლო საკონიაკე სპირტის მიღება..

და ეს მაშინ, როდესაც ამ საამქროს ბოლო ორი წლის მანძილზე საქვაბის დაზიანების გამო თურმე საერთოდ არ უმუშავნია, რასაც ქარხნის სათანადო პასუხისმგებელი მუშაკების წერილობითი განმარტებებიც ადასტურებს.

თურმე-მეთქი, ხაზგასმით იმად აღვნიშნე, რომ ეს მონაცემები საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის პრეზიდიუმის შარშანდელი 11 ნოემბრის სხდომის დადგენილებიდან ამოვიწერე, რომელიც ფირმა „ჩიხურას“ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შემოწმების შედეგებს აჯამებს და, რომელშიც მრავალი სხვა ანალოგიური ნაკლოვანება-დარღვევაც არის აღნიშნული.

იგივე დასტურდება რედაქციაში შემოსული კოლექტიური წერილ-საჩივრითაც, რომელსაც ამ ფირმის შვიდი მუშაკი, უფრო სწორად, აწ უკვე ყოფილი თანამშრომელი, აწერს ხელს.

ამის შესახებ აღნიშნულ მუშაკებს, რომლებიც, საწარმოო თუ საკადრო პოლიტიკის ზოგიერთ საკითხში ხელმძღვანელობის პოზიციისგან განსხვავებული მიდგომის გამო, თურმე დევნა-ზეწოლას განიცდიდნენ, პირველად სამიოდე წლის წინათ მიუმართავთ საჩივრით დარგობრივი სამინისტროსთვის. გამოყოფილ კომისიას შეუსწავლია საკითხი, მაგრამ ფირმის დირექტორს, სიტყვიერი დაპირების მიუხედავად, თავისი არ დაუშლია.

მერე კიდევ მრავალგზის ყოფილა საჩივრები სამინისტროში, დარგობრივი პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტში, „სამტრესტში“... და ერთი ციტატა რედაქციაში შემოსული კოლექტიური განცხადებიდან: „გარდა ზეპირი განმარტება-დაპირებისა, რომ დირექტორი იმსახურებდა მოხსნას, არავითარი ოფიციალური პასუხი ჩვენს განცხადებებზე არ მიგვიღია. დაუსჯელობით გალაღებული დირექტორი კი სულ უფრო გვავიწროვებდა და გვეპირისპირებოდა იმ ხალხსაც, ვის ინტერესებსაც გამოვხატავდით. კონტროლის პალატის შემოსვლამ კიდევ უფრო გააბოროტა იგი“.

მოკლედ ეს ხალხი დირექტორმა სამსახურიდან გაათავისუფლა. თანაც სწორედ კონტროლის პალატის პრეზიდიუმის ზემოაღნიშნული დადგენილების მიღების შემდეგ.

მაგრამ ამ წერილის მთავარი მიზანი სულაც არ არის ფირმის დირექტორსა და განმცხადებლებს შორის მტყუან-მართლის გარჩევა, „ჩიხურაში“ არსებული მდგომარეობის ამომწურავად შესწავლა-გაანალიზება ან თუნდაც კონტროლის პალატის დადგენილებაში აღნიშნული ფაქტების უტყუარობის დადგენა.

ხოლო ვიდრე იმას მოგახსენებდეთ თუ რამ გადააწყვეტინა რედაქციას ამ წერილის მომზადება, გაგაცნობთ ერთ ამონარიდს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის დადგენილების პირველი პუნქტიდან, რომელშიც რეზიუმირებულია ფირმაში არსებული სერიოზული დარღვევები, რის შემდეგაც წერია: **„ფირმა „ჩიხურას“ დირექტორი ტარიელ ჭილლაძე, მთავარი ინჟინერი შუქრი ენუქიძე, მთავარი ბუღალტერი მარგალიტა გაფრინდაშვილი იმსახურებენ დაკავებულ თანამდებობიდან გათავისუფლებას. მაგრამ მხედველობაში იქნეს მიღებული საჩხერის რაიონის გამგებლის ც. ლაშხის თხოვნა და მათი თანამდებობაზე დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი გადაეცეს საჩხერის რაიონის გამგეობასა და რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს ერთობლივად განსახილველად“.**

და მესამე პუნქტიც: **„... ჩიხურას“ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის დოკუმენტური რევიზიის მასალები ფულად და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისების, აღურიცხავი პროდუქციის წარმოების, ღვინომასალების რეალიზაციისა და სპირტის გამოხდის ფიქტიური საბუთების გაფორმების შესახებ რეაგირებისათვის გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას“.**

და აი, ამან, უფრო სწორად, ამის მომდევნო ამბებმა, რაც ჩვენი საზოგადოებისთვის, სამწუხაროდ, უცხო არ არის, ამაღებინა ხელში კალამი.

მაშ ასე: რაიონის გამგებელი ფირმის ხელმძღვანელობასთან ერთად ესწრება რესპუბლიკის კონტროლის პალატის პრეზიდიუმის ზემოაღნიშნულ სხდომას და რაკი იქ განხილვის მიმდინარეობისა და გადაწყვეტილების გამო რაიმე კატეგორიული წინააღმდეგობა არ გამოუხატავს, სავარაუდებელია, ეთანხმება კიდეც მას. მხოლოდ ამას ითხოვს: ზემოაღნიშნულ მუშაკთა თანამდებობაზე დატოვების საკითხს, თქვენის ნებართვით, მე განვიხილავო.

თხოვნას უსრულებენ.

მერე რა მოხდა? მოხდა ის, რომ..

თუმცა მანამდე ერთი ანეკდოტისმაგვარი ამბავი:

მოლას მახლობელ ჰუსეინს ქალაქის პრესტიჟულ უბანში აკრძალული შინარეწვისთვის თურმე ასი როზგი გადაუწყვიტეს.

მოლას მსაჯულთათვის უთხოვია, — ამის აღსრულება მე დამავალეთ, სულ ცხრა პირ ტყავს გავაძრობო.

ჰუსეინს მისი შუამდგომლობაწყალობით უსარგებლია და მეორე დღესვე სხვა ქალაქში გადასახლებულა.

როცა მოლასთვის დანაპირების აღსრულების აუცილებლობა შეუხსენებიათ, — მაგ მაცდურს სახელი შეუცვლია, სხვა ქალაქშიც გადასახლებულა და მასზე ხელი როგორღა მიმიწვდებაო — უთქვამს.

ნურვინ მიწყენს აწ სათქმელისთვის ამ ამბის წამძღვარებას, მაგრამ როდესაც საჩხერის რაიონის გამგებლისთვის უკითხავთ, როგორია თქვენი რეაგირება, — „ჩიხურა“ უკვე სააქციო საზოგადოებად არის გარდაქმნილი და მის ხელმძღვანელს როგორღა გავათავისუფლებო — უთქვამს.

— საქმე სულ რამდენიმე დღის მიღებული მაქვს და ამიტომაც ჯერჯერობით ვერაფერი დავადგინე, — ასე აუხსნია თავისი აქამომდელი უმოქმედობა რაიონის პროკურორს, რომლისთვისაც მასალები რესპუბლიკის პროკურატურას, სხვათა შორის, 8 დეკემბერს გადაუგზავნია.

და ბოლოს, როგორც იქნა, გაჭიანურებული მთავარი სათქმელი:

ყველგან და ყველა დონეზე ყველას გვიყვარს იმის თქმა თუ მტკიცება, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობას ვესწრაფვითო.

მაგრამ როგორ? სულხან-საბას „მშენებელთა“ მეთოდით? განა ყველამ ასევე ყველგან და ყველა დონეზე საამისოდ კონკრეტული საქმეები არ უნდა ვაკეთოთ?

სამართლებრივი სახელმწიფო განა უწინარესად კანონის უზენაესობასა და მისი სამართლიანი მოთხოვნების პატივისცემა-აღსრულებას არ ნიშნავს? კანონის უზენაესობა ხომ სამართლებრივი სახელმწიფოს საძირკველია?

და ვინ უნდა იზრუნოს, უპირველეს ყოვლისა, ამ „საძირკვლის“ სიმტკიცისათვის, თუ არა პირველმა ხელმძღვანელმა პირმა, რაიონული მასშტაბისა იქნება იგი თუ უფრო მაღალი რანგისა?

საჩხერელები კი დუმილს ამჯობინებენ. დუმილს, რომელიც მუდამ არ არის თანხმობის ნიშანი და არც ოქროა მუდამ.

საქმისადმი ხელმძღვანელთა ამგვარი მიდგომის შემწეობით კი მაგანნი ბნელ ოთახში არარსებულ შავ კატასაც იოლად იჭერენ...

როგორც ჩანს, „ჩიხურასთან“ დაკავშირებით საბოლოო და გადამწყვეტი სიტყვა კვლავ რესპუბლიკის კონტროლის პალატამ უნდა თქვას. სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა „პოზიციის“ თაობაზე კი ალბათ სათანადო ზემდგომი რესპუბლიკური ორგანოები იმსჯელებენ.

რუსლან რუსია.

მერვე სვეტი

მიღება საელჩოს გახსნასთან დაკავშირებით

სასტუმრო „მეტეხში“ დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბრაიენ ფოლიმ მოაწყო მიღება საქართველოს რესპუბლიკაში დიდი ბრიტანეთის საელჩოს გახსნასთან დაკავშირებით.

მიღებაზე მოწვეული იყვნენ საქართველოში დიპლომატიური მისიების, საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები, სხვა ოფიციალური პირები.

მიღებას ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივნო.

ხორბალი საქართველოსათვის

ფოთის ნავსადგურში ამერიკის შეერთებული შტატებიდან შემოვიდა გემი, რომელმაც 84 ათასი ტონა ხორბალი შემოიტანა. მანამდე კი, 12 მარტს ამავე ნავსადგურში შემოსულმა გემმა — 20 ათასი ტონა ხორბალი.

აპრილის პირველ დეკადაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ფირმა „მედიკოსი“ ბულგარულ ფირმა „რიჩ ლ.ტ.დ.“-საგან შეძენილ 2 000 ტონა უმაღლესი ხარისხის ფქვილს შემოიტანს შეღავათიან ფასებში.

ასე რომ, პურის ცხობაში წყვეტილობა მოსალოდნელი არ არის.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

აფხაზეთის გერმანული დიასპორა გააქტიურდა

სეპარატისტთა საინფორმაციო სამსახურები ბოლო დროს გადასცემენ მასალებს და ცნობებს იმის შესახებ, რომ აფხაზეთის გერმანული დიასპორა გააქტიურდა. სოხუმის რადიოს მონაცემებით, დღეისათვის აფხაზეთში ცხოვრობს გერმანული ეროვნების 100 ადამიანი. აფხაზეთის გერმანელთა კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოება შეიქმნა 1992 წელს და იგი დღესაც აგრძელებს თავის საქმიანობას. საზოგადოებასთან სოხუმში ფუნქციონირებს საკვირაო სკოლა, სადაც სწავლობენ გერმანულ ენას, ლიტერატურას და ისტორიას.

როგორც აფხაზური რადიო იტყობინება, ამ დღეებში საზოგადოებამ მიმართვა გაუგზავნა გერმანიის ქრისტიანულ ორგანიზაციებს და სთხოვა მათ დახმარება გაუწიონ აფხაზეთში ლიუთერანთა ეკლესიის მშენებლობაში. ზემოაღნიშნული საზოგადოების თავმჯდომარემ ნელი ლასმა განაცხადა, რომ მათი ორგანიზაცია აქტიურად თანამშრომლობს „რუსეთის გერმანელთა კავშირთან“ და სახელმწიფოთაშორისი გერმანელთა ცენტრალურ კავშირ „ფაუდასთან“.

თენგიზ ბაჟკორია,
საქინფორმის კორ.

ამ დღეებში

[illegible]
„საქართველოს
რესპუბლიკის“
და საქინფორმის
კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

პარლამენტი და პარლამენტარები

საქართველოს პარლამენტის 10 მარტის სხდომაზე არ შედგა წარმოდგენილი კანონპროექტების კენჭისყრა კვორუმის უქონლობის გამო. ვაქვეყნებთ ამ სხდომის რეგისტრაციის შედეგებს:

გაიარეს რეგისტრაცია:

1. ადამია ვაჟა გიორგის ძე
2. ალექსანიანი ფერდინანდ არმენაკის ძე
3. ბალიაშვილი ივანე იაკობის ძე
4. ბარამიძე მალხაზ ბენედიქტეს ძე
5. ბახტაძე დემურ მიხეილის ძე
6. ბერიანიძე შალვა ზაქარიას ძე
7. ბერიშვილი გურამ დავითის ძე
8. ბერიძე ალექსანდრე მიხეილის ძე
9. ბერიძე რუსუდან ივანეს ასული
10. ბერიძე ჯემალ ლევანის ძე
11. ბრეგაძე აკაკი ალექსანდრეს ძე
12. გაჩეჩილაძე გიორგი ამბერკის ძე
13. გვერდწითელი მიხეილ პავლეს ძე
14. გუგუნავა ალექსანდრე დავითის ძე
15. დევდარიანი ნანა გიორგის ასული
16. დვალიშვილი მალხაზ იოსების ძე
17. ელოშვილი ომარ ილიას ძე
18. ენუქიძე ზაზა მიხეილის ძე
19. ვარდოსანიძე ლევან გრიგოლის ძე
20. ზუხბაია ოთარ გიორგის ძე
21. თირქია ლედი თარაშის ასული
22. თუმანიშვილი გრიგოლ დიმიტრის ძე
23. იაკობიძე ვაჟა ტაშტანის ძე
24. იორამაშვილი გივი მიხეილის ძე
25. იოსელიანი არჩილ ავთანდილის ძე
26. კალანდია გენო ვლადიმერის ძე
27. კალაძე რობინზონ არჯევანის ძე
28. კენჭუაშვილი ნონა არსენის ასული
29. კიკნაძე გიორგი ვარლამის ძე
30. კოზირიძე დავით დავითის ძე
31. კოპალეიშვილი თეიმურაზ დავითის ძე
32. კუპრეიშვილი დავით ბიჭიკოს ძე
33. ლობჟანიძე გივი შალვას ძე
34. ლოლაძე ანდრო გიორგის ძე
35. ლორთქიფანიძე ვიქტორ მიხეილის ძე
36. მანძულაშვილი მიხეილ შალვას ძე
37. მარშანია ადა ლორიკის ასული
38. მეგუთნიშვილი სოსო არჩილის ძე
39. მიმინოშვილი რომან სევერიანის ძე
40. მუსელიანი ვახტანგ ალექსანდრეს ძე
41. ნადარაია ამირან ივლიანეს ძე
42. ნადარაია ნუგზარ ოთარის ძე
43. ნათაძე ნოდარ რევაზის ძე
44. ნათელაშვილი შალვა ამბროსის ძე
45. ოთარაშვილი ვაჟა გიორგის ძე
46. ჟორჟოლიანი თეიმურაზ მიხეილის ძე (I)
47. რუხაძე სერგო სამსონის ძე
48. საყვარელიძე ფრიდონ იოსების ძე
49. სიგუა თენგიზ იპოლიტეს ძე
50. სიხარულიძე ზაზა იტრის ძე
51. ტყებუჩავა ავთანდილ კაჟანდის ძე
52. ფაღავა ასლან სულიბეგის ძე
53. ფენდრავა არჩილ ერასტის ძე
54. ფრუიძე ლევან აკაკის ძე
55. ქადაგიძე დავით ნიკოლოზის ძე
56. ქაშაკაშვილი ამირან ნიკოლოზის ძე
57. ქველაძე ზურაბ ილიას ძე
58. ყორანაშვილი გურამ ვასილის ძე
59. შაკიაშვილი ლუიზა ივანეს ასული
60. შენგელაია ელდარ ნიკოლოზის ძე
61. შენგელია ზურაბ ივანეს ძე
62. ჩარკვიანი ჯანსუღ კანდიდის ძე
63. ჩხეიძე თამარ რევაზის ასული
64. ციციშვილი ჯიმშერ ვახტანგის ძე
65. ცუცხვაშვილი გია ქორას ძე
66. ძაბირაძე ვახტანგ ალექსანდრეს ძე
67. ძაგნიძე შოთა სამშეს ძე
68. წიკლაური მევლუდ შაქროს ძე
69. წოწონავა ანზორ დავითის ძე
70. ჭანტურია ვალერი ანდროს ძე
71. ჭელიძე ივერი რაჟდენის ძე
72. ხავთასი გია გრიგოლის ძე
73. ხარატიშვილი იოსებ ალექსის ძე
74. ხიზანიშვილი რამაზ რობიზონის ძე
75. ხმალაძე ვახტანგ იულონის ძე
76. ჯიბლაძე ალექსანდრე ხასანის ძე
77. ჯიქია ალექსანდრე იესეს ძე
78. ჯოჯუა გრიგოლ აივენგოს ძე
79. ფარუაშვილი ბესარიონ ამირანის ძე
80. ბუხალაძე ვასილ გიორგის ძე
81. ცინცაძე თამაზ ისმაილის ძე
82. ციკაძე დავით გიორგის ძე
83. ქაჯაია მერაბ მუსას ძე
84. მგელიაშვილი თეიმურაზ ივანეს ძე
85. დიასამიძე თამაზ ახმედის ძე
86. მურვანიძე ზურაბ შალვას ძე
87. ზვედელიძე გივი ანდროს ძე
88. ადამია რევაზ შოთას ძე
89. კორძაძე გაიოზ ბენოს ძე
90. გვაზავა ელგუჯა (გია) ანატოლის ძე
91. კვარაცხელია ვალერი დავითის ძე
92. ადამია ჯემალ მამიას ძე
93. მჭედლიძე მიხეილ ლევანის ძე

არ გაუვლიათ რეგისტრაცია:

1. აბალაკი გივი გიორგის ძე
2. აბაშიძე ასლან იბრაიმის ძე
3. აბესაძე ინგუშა ზოტინეს ძე
4. ამირეჯიბი მზეჭაბუკ (ჭაბუა) ირაკლის ძე
5. ანდრიაძე ზურაბ დავითის ძე
6. ანდრიაძე ირაკლი ონისიმეს ძე
7. არველაძე ტახირ ვლადიმერის ძე
8. ასათიანი აკაკი თორნიკეს ძე
9. ასათიანი ვალერიან როსტომის ძე
10. ასათიანი ვახტანგ თენგიზის ძე
11. ახმეტელი გიორგი (ცეზარ) გიორგის ძე
12. აჯიაშვილი სიმონ (ჯემალ) დავითის ძე
13. ბალაშვილი ვლადიმერ ორდას ძე
14. ბარამიძე გიორგი აივენგოს ძე
15. ბაშალეიშვილი დავით როინის ძე
16. ბეგიაშვილი ვახტანგ იოსების ძე
17. ბერიძე კონსტანტინე თეიმურაზის ძე
18. ბერძენიშვილი დავით ვალერიანის ძე
19. ბობოხიძე აკაკი ივანეს ძე
20. გაზდელიანი თენგიზ კორნელის ძე
21. გამყრელიძე თამაზ ვალერიანის ძე
22. გელაძე ავთანდილ შოთას ძე
23. გელაძე ვაჟა ნიკოლოზის ძე
24. გიწაძე გურამ იასონის ძე
25. გოგინეიშვილი მანანა ივანეს ასული
26. გიორგაძე ივანე (მამუკა) ბესარიონის ძე
27. გოგუაძე ვახტანგ ვლასის ძე
28. გოდერძიშვილი გელა გიორგის ძე
29. გონაშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე
30. გორგოძე ჯემალ ვალერიანის ძე
31. გოცირიძე ვასილ კოკის ძე
32. გულუა ბაკური დავითის ძე
33. დიხამინჯია თენგიზ დავითის ძე
34. დოლიძე როსტომ ხასანის ძე
35. დოლმაზაშვილი ავთანდილ რომანის ძე
36. ველიჯანაშვილი გოდერძი რაფაელის ძე.
37. ვეფხვაძე ნოდარ ვარლამის ძე.
38. თავართქილაძე ანზორ ილარიონის ძე
39. იოსელიანი ჯაბა კონსტანტინეს ძე
40. კაკუბავა ბორის ჯოტოს ძე
41. კალანდაძე თენგიზ გრიგოლის ძე
42. კახაძე კახაბერ მიხეილის ძე
43. კიკაბიძე კობა გიორგის ძე
44. კირთაძე ნესტან ლევანის ასული
45. კიტოვანი თენგიზ კალისტრატეს ძე
46. კობაიძე ალექსი ლევანის ძე
47. კობახიძე გიორგი ტიტეს ძე
48. კობერიძე ნუგზარ ნიკოლოზის ძე
49. კოღუაშვილი პაატა პეტრეს ძე
50. კოხია ოთარ გრიგოლის ძე
51. კოხრეიძე ნოდარ ლუკას ძე
52. კუპრავა რაულ ალექსანდრეს ძე
53. კურტანიძე ჯუმბერ გიორგის ძე
54. ლეკიშვილი ნიკოლოზ მიხეილის ძე
55. ლიპარტელიანი როინ ვასილის ძე
56. ლომინაძე გივი ნიკოლოზის ძე
57. ლომსაძე ბორის არჩილის ძე
58. ლორთქიფანიძე გრიგოლ (გიგა) დავითის ძე
59. ლორთქიფანიძე როზა ოთარის ასული
60. მამალაძე ლევან ლეგარის ძე
61. მამრაძე პეტრე გრიგოლის ძე
62. მამულია გურამ სამსონის ძე
63. მახალდიანი სოსო თენგიზის ძე
64. მელაშვილი ირაკლი თენგიზის ძე
65. მელქაძე ოთარ ვალერიანის ძე
66. მესხი ლევან ვარლამის ძე
67. მეტრეველი მერაბ მაკარის ძე
68. მუჩაიძე გურამ ოთარის ძე
69. ნაკაშიძე ბადრი ჯემალის ძე
70. ნანეიშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე
71. ნოქილაშვილი გელა ანტონის ძე
72. ნოღაიდელი ზურაბ თეიმურის ძე
73. ობგაძე თამაზ აბესალომის ძე
74. ომანიძე მურმან მელიტონის ძე
75. ორჯონიკიძე იზა (იზოლდა) არჩილის ასული
76. პატაშვილი თედო შალვას ძე
77. პაიჭაძე დავით გიორგის ძე
78. პატიაშვილი ჯუმბერ ილიას ძე
79. ჟვანია ზურაბ ბესარიონის ძე
80. ჟორჟოლიანი გია გიორგის ძე
81. ჟორჟოლიანი თეიმურაზ მიხეილის ძე (6)
82. ჟღენტი მამული ილიას ძე
83. რიჟკინი მარკ ალექსანდრეს ძე
84. როგავა გაიოზ ალექსანდრეს ძე
85. რჩეულიშვილი ვახტანგ შალვას ძე
86. სანადირაძე გურამ სოლომონის ძე
87. სარიშვილი ირინა თამაზის ასული
88. საყვარელიძე რამაზ ტარიელის ძე
89. საჯაია ჯემალ ვიქტორის ძე
90. სინჩიანი ქორა ზარზანდის ძე
91. სუმბათაშვილი თეიმურაზ იოსების ძე
92. სხირტლაძე როსტომ კარლოს ძე
93. ტაკიძე ამირან ზიას ძე
94. ტალახაძე ვახტანგ ავთანდილის ძე
95. ურიდია მერაბ ბორისის ძე
96. უსტიაშვილი გურამ ხარიტონის ძე
97. ფაცაცია გერმანე გერმანეს ძე
98. ფაცაცია ოთარ ამბაკოს ძე
99. ქარცივაძე ნოდარ ხემლის ძე
100. ქელივაძე გელა პეტრეს ძე
101. ღარიბაშვილი ქართლოს დავითის ძე
102. ღოღობერიძე ლანა ლევანის ასული
103. ყოლბაია ვახტანგ გაბრიელის ძე
104. შამშელაშვილი გიორგი მიხეილის ძე
105. შევარდნაძე ედუარდ ამბროსის ძე
106. შელია გურამ ბაჩოს ძე
107. შენგელაია ირაკლი გიორგის ძე
108. ჩაკვეტაძე მურთაზ ახმედის ძე
109. ჩარქსელიანი ანზორ კონსტანტინეს ძე
110. ჩახვაძე გურამ დავითის ძე
111. ჩიტლოვი დიმიტრი სამსონის ძე
112. ჩხეიძე პაატა ავთანდილის ძე
113. ჩხენკელი მიხეილ მაქსიმეს ძე
114. ცინდელიანი ლია შოთას ასული
115. ციხელაშვილი ტარიელ ივანეს ძე
116. ციხისთავი გია სოლომონის ძე
117. წერეთელი ზურაბ კონსტანტინეს ძე
118. წერეთელი ირაკლი სიდამონის ძე
119. წითლანაძე გიორგი იაკობის ძე
120. წულაია გიორგი გურამის ძე
121. ჭავჭავაძე ნიკოლოზ ზურაბის ძე
122. ჭეიშვილი რევაზ (რეზო) ბენედიქტეს ძე
123. ჭელიძე დავით თამაზის ძე
124. ჭინჭარაული გიორგი ბაბის ძე
125. ხაინდრავა ივლიანე ლევანის ძე
126. ხაჭაპურიძე ვაჟა სოლომონის ძე
127. ხიდეშელი გიორგი (გოგა) დიმიტრის ძე
128. ხომერიკი ვასილ გულვანის ძე
129. ხურციძე ბექან ვლადიმერის ძე
130. ხუციშვილი ომარ იურის ძე
131. ხუხუნაიშვილი ვანო რევაზის ძე
132. ჯაფარიძე რევაზ ანდრიას ძე
133. ჯეირანაშვილი ნიაზ ალექსანდრეს ძე

საქართველოს პარლამენტის სპიკერის — პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის

ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკაში პარლამენტის წარმომადგენლობის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

1. **საქართველოს** პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად, შეტანილი იქნეს ცვლილებები პარლამენტის წარმომადგენლობის დებულებაში და დამტკიცდეს იგი ახალი რედაქციით.
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლობის შესახებ დებულების თაობაზე" საქართველოს პარლამენტის სპიკერის 1993 წ. 2 მარტის ბრძანება.
3. საპარლამენტო წარმომადგენლობის ახალი დებულება ძალაში შევიდეს მისი გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლობის

დებულება

მუხლი 1. პარლამენტის წარმომადგენლობა არის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს წარმომადგენლობა, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი საარჩევნო ოლქის მთელ ტერიტორიაზე. წარმომადგენლობის საქმიანობას ხელმძღვანელობას უწევს ამ საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული წესით არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრი.

მუხლი 2. საქართველოს პარლამენტის წევრებს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შეუძლიათ თანაბრად ისარგებლონ პარლამენტის წარმომადგენლობით.

მუხლი 3. პარლამენტის წარმომადგენლობის ამოცანაა უზრუნველყოს საარჩევნო ოლქში პარლამენტის წევრთა ნორმალური საქმიანობა, დაეხმაროს მათ საერთო-სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების, მოქალაქეთა უფლებების დაცვის, რეგიონული პრობლემების დამუშავების საქმეში.

მუხლი 4. პარლამენტის წარმომადგენლობა აკონტროლებს საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესრულებას და მიღებული კანონების ამოქმედების მდგომარეობას შესაბამისი საარჩევნო ოლქის მთელ ტერიტორიაზე, რის შესახებაც აცნობებს პარლამენტის კოლეგიას.

მუხლი 5. პარლამენტის წარმომადგენლობა ორგანიზაციას უწევს პარლამენტის წევრის მიერ მოქალაქეთა მიღებასა და ამომრჩევლებთან შეხვედრას, ხელს უწყობს პარლამენტის წევრებს ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ურთიერთობის კოორდინაციაში.

მუხლი 6. პარლამენტის წარმომადგენლობა გამოითხოვს საჭირო მონაცემებს და იღებს ინფორმაციას ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოებიდან წამოჭრილ პრობლემებზე, იხილავს პარლამენტის წევრის სახელზე შემოსულ კორესპონდენციას, მოქალაქეთა საჩივრებსა და განცხადებებს, ადგილებიდან რეგულარულად აწვდის ინფორმაციას დაინტერესებულ პარლამენტის წევრებს და პარლამენტის აპარატს.

მუხლი 7. პარლამენტის წარმომადგენლობა მნიშვნელოვან სამეურნეო და სოციალურ საკითხებზე პარლამენტის წევრის მეშვეობით აყენებს საკითხებს ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების წინაშე.

მუხლი 8. საპარლამენტო წარმომადგენლობებთან იქმნება მრჩეველთა საბჭო, რომელიც მუშაობას წარმართავს საზოგადოებრივ საწყისებზე და თავის სხდომებს მართავს საჭიროების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთხელ.

მრჩეველთა საბჭო ხელს უწყობს პარლამენტის წევრის ინფორმირებას რაიონებში არსებულ პრობლემებზე.

მუხლი 9. პარლამენტის წარმომადგენლობის მუშაკებს (წამყვანი სპეციალისტი, სპეციალისტი, ტექნიკური მუშაკები) ნიშნავს საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი ამ ოლქში მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატის წარდგინებით.

მუხლი 10. საპარლამენტო წარმომადგენლობების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ყოველი კვარტლის დასასრულს წერილობით ეცნობება საქართველოს პარლამენტის კოლეგიას და პარლამენტის აპარატს.

მუხლი 11. ადგილობრივი მმართველობა პარლამენტის წარმომადგენლობას საარჩევნო ოლქის ცენტრში უზრუნველყოფს სამუშაო ფართით, სამეურნეო ინვენტარით, კავშირგაბმულობის საშუალებებით და საკანცელარიო ნივთებით.

მუხლი 12. პარლამენტის წარმომადგენლობების მუშაკების დაფინანსება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან და მათი ხელფასის განაკვეთი განისაზღვრება პარლამენტის აპარატის მუშაკის თანამდებობრივი სარგოების შესაბამისად.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან 1994 წლის 24 დეკემბრის თათბირზე ქალაქ ქუთაისის მერის თ. შაშიაშვილის მიერ დასმული საკითხების რეალიზაციის თაობაზე

უკანასკნელ პერიოდში ქუთაისის მერია ახორციელებს რიგ ღონისძიებებს ეკონომიკური კრიზისის დაძლევის, მოსახლეობის სოციალური დაცვის, მართლწესრიგის განმტკიცების მიზნით, შედეგად გარკვეული დადებითი ძვრებია მრეწველობისა და ტრანსპორტის სფეროებში, წესრიგდება ქალაქის ენერგომომარაგება, აქტიურად მიმდინარეობს რეფორმები განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სახელმწიფო ქონების პრივატიზებისა და სხვა სფეროებში.

ქუთაისის მერიის ხელმძღვანელობამ არსებული რეზერვების ამოქმედებით შესაძლო მინიმუმამდე დაიყვანა სამთავრობო დონეზე დასარეგულირებელი საკითხები.

ქალაქის სამეცნიერო-ტექნიკური და შემოქმედებითი ინტელიგენცია, მოსახლეობა, აქტიურად ემზადება აღნიშნოს ქუთაისის დაარსების მრავალსაუკუნოვანი იუბილე და გაერთიანებული საქართველოს სატახტო ქალაქად ქუთაისის გამოცხადების 1000 წლისთავის საიუბილეო თარიღი, რომელიც პრაქტიკულად დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მასშტაბის პირველი დღესასწაულია და იგი იუნესკოს ეგიდით იმართება.

1993-1994 წლებში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებულ იქნა რიგი ბრძანებულებები, დადგენილებები და განკარგულებები ქუთაისში სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელებისა და მართლწესრიგის განმტკიცების მიზნით. ამასთან, მიღებული დოკუმენტების რიგი პუნქტები დღემდე შეუსრულებელია, რაც უარყოფითად მოქმედებს ქუთაისისათვის საარსებო მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაზე.

1994 წლის 24 დეკემბერს, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატში რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის, სამინისტროების, უწყებების, სამსახურების ხელმძღვანელთა მონაწილეობით გამართულ თათბირზე განხილულ იქნა ქუთაისის მერის თ. შაშიაშვილის და ქუთაისელ სპეციალისტთა ჯგუფის მიერ მომზადებული წინადადებები.

საიუბილეო თარიღების აღსანიშნავად ქალაქში მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებისა და თათბირზე დაყენებული საკითხების რეალიზაციის მიზნით:

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1995 წლის 1 აპრილამდე განიხილოს:

ქუთაისის საავტომობილო, ელექტრომექანიკური, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნების საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვის, ლითოფონის წარმოების ახალი სიმძლავრეების მშენებლობის, ტყავფეხსაცმლის კომბინატის, ტყავის ქარხნის ამოქმედების, საკონსერვო და საკონდიტრო საწარმოების სანედლეულო უზრუნველყოფის მცირემასშტაბიანი საინვესტიციო პროგრამების რეალიზაციის, შალის კომბინატის „მედეას" მეორე რიგის სამუშაოების შესასრულებლად კრედიტების გამოყოფის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული დადგენილებების შესრულების მიმდინარეობა და მიიღოს ზომები დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად.

2. 1995 წლის ბოლომდე გაგრძელდეს „ქუთაისში სახელმწიფო მუნიციპალური საკუთრების საწარმოების (ობიექტების) პრივატიზების შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 25 მა ტის № 84 ბრძანებულების მოქმედების ვადა.

3. ქუთაისის საარსებო მნიშვნელობის ობიექტების ნავთობპროდუ ტებით უზრუნველყოფის და რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალზე — მდ. რიონზე ჯაჭვის ხიდის რეკონსტრუქციის დაფინანსები მიზნით, ქალაქ ქუთაისის იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ შემოტანილი ნავთობპროდუქტების ნატურალური გადასახადის რეალ ზაციით მიღებული თანხების 50 პროცენტი ჩაირიცხოს ქუთაისის გილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებში (მიმდინარე წლის ბოლომდე).

4. ქუთაისში ხელოვნების ცენტრის დაარსებასთან დაკავშირებით რთველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ ერთი თვის ვა უზრუნველყოს ყოფილი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო ქალაქის შენობა-ნაგებობების და ტერიტორიის ქუთა მერიის ბალანსზე გადაცემა დადგენილი წესით (ტერიტორიაზე და ნილი სამხედრო ქვედანაყოფების ქალაქში განთავსების უზრუნვ ყოფით).

ქუთაისის მერიამ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან თად დაარეგულიროს ხელოვნების ცენტრის ფუნქციონირებასთან კავშირებული ორგანიზაციული და ფინანსური საკითხები.

5. მოწონებულ იქნეს ქუთაისის მერიის გადაწყვეტილება ქალაქ ტერიტორიაზე საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დროებ საჯარიმო სანქციების შემოღების შესახებ.

6. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ, იუსტიციის სამი სტრომ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შექმნან სამუშაო ჯგუფი, რ მელიც ექსპერიმენტის სახით მოამზადებს წინადადებებს ქუთაისში ნაშაულის გახსნისა და გამოძიების ერთიანი სამსახურის შექმნის შესახ

7. მიღებულ იქნეს ქუთაისის მერის თ. შაშიაშვილის წინადადება კოპიტნარის აეროპორტში სამხედრო საავიაციო ბაზის ფუნქციონ ბის პარალელურად შენარჩუნებულ იქნეს სამოქალაქო სამგზ და სატვირთო საჰაერო გადაზიდვები.

8. ნება დაერთოს ქუთაისის მერიას მმართველობის ადგილ ორგანოებში დასაქმებულ მუშაკთა ხელფასი დააწესოს ინდი ლურად ბიუჯეტით დამტკიცებულ ზღვრულ ასიგნებათა ფარგლ

9. გაგრძელდეს ქუთაისში მიმდინარე ექსპერიმენტი ვალუტის ვლის წესთან დაკავშირებით და ამ სახის მომსახურება ქუთაისის ტორიაზე განხორციელდეს მხოლოდ საბანკო სტრუქტურების მეშ

10. ამ ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ სენდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს 1995 აპრილში.

ე. შევარდ

1995 წლის 28 თებერვალი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

ქალაქ ჭიათურის ზონის გამგეობის მერიად გარდაქმნისა და ქალაქ ჭიათურის მმართველობის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობის, მეურნეობრიობის ახალ პრინციპებზე გადასვლისა და აუცილებელ ოპერატიულ ღონისძიებათა გატარების მიზნით:

1. ქალაქ ჭიათურის ზონის გამგეობა გარდაიქმნას ქალაქ ჭიათურის მერიად.
2. დამტკიცდეს დებულება „ქალაქ ჭიათურის მმართველობის შესახებ".

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 1 მარტი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

ნ. სამხარაძის ქ. ჭიათურის მერად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ნუგზარ სამხარაძე ქ. ჭიათურის მერად.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 1 მარტი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

„საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაფართოების კომპლექსური სამთავრობო პროგრამის შემუშავებისათვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 28 იანვრის № 17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაფართოების კომპლექსური სამთავრობო პროგრამის შემუშავებისათვის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში, ნაცვლად თბილისის მერის ნ. ლეკიშვილისა, შეყვანილ იქნეს თბილისის მუნიციპალიტეტის პრემიერის პირველი მოადგილე ტ. არველაძე.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1995 წლის 22 თებერვალი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

პურისა და ფქვილის რეალიზაციიდან ბიუჯეტში ფიქსირებული გადასახდელების შესახებ

პურისა და ფქვილის რეალიზაციიდან რესპუბლიკურ ბიუჯეტში ფიქსირებული გადასახდელის ამოღების მოწესრიგების მიზნით:

1. პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის მრეწველობის კორპორაციის სისტემის წისქვილკომბინატები და პურის მიმღები საწარმოები დროებით, კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების შეტანამდე, გათავისუფლდნენ საჯარიმო სანქციებისაგან იმ შემთხვევებში, როცა ხორბალსა და ფქვილზე ბიუჯეტში ფიქსირებული გადასახდელების ამოღების დაგვიანება ხდება არა მათი მიზეზით. ამასთან დაკავშირებით, აღნიშნული სანქციები გავრცელდეს იმ პურის ქარხნებზე, საბანკო დაწესებულებებსა და სავაჭრო ორგანიზაციებზე, რომლებიც ხელოვნურად აფერხებენ პურისა და ფქვილის რეალიზაციიდან ამონაგები თანხების ინკასაციასა (შეტანას) და გადარიცხვებს და რომელთა მიზეზითაც წისქვილკომბინატები და პურის მიმღები საწარმოები თავისდროულად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 11 ნოემბრის 791 დადგენილებით განსაზღვრულ ვადებში, ვერ იღებენ რეალიზებული ფქვილის ღირებულების შესაბამის თანხებს.
2. იმასთან დაკავშირებით, რომ 1994 წლის 25 დეკემბრამდე მოქმედ პურისა და ფქვილის სარეალიზაციო ფასებში არ იყო გათვალისწინებული დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი, პურსა და ფქვილზე აღნიშნული გადასახადი გავრცელდეს 1994 წლის 25 დეკემბრიდან.
3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა საქართველოს პარლამენტს წარმოუდგინოს წინადადებები ამ ბრძანებულების პირველი მუხლის შესაბამისად რესპუბლიკის კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ედუარდ შევარდნაძე.

1995 წლის 27 თებერვალი.

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსში დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. 1973 წლის 28 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 26, მუხლი 118) 64-ე მუხლის პირველ ნაწილს მეშვიდე აბზაცის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი: „9 მაისი — ფაშიზმზე გამარჯვების დღე".
2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1995 წლის 8 თებერვალი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთა

ბრძანებულება

რესპუბლიკაში მეორეული სილიკომანგანუ შეგროვებისა და რეალიზაციის მოწესრიგ გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

მეორეული სილიკომანგანუმის მოპოვებისა და რეალიზაცი წესრიგებლად უკანასკნელ პერიოდში საქართველოს რესპუბლ ნისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული შესაბამისი დადგენილებ კონკრეტული ღონისძიებების მიუხედავად რესპუბლიკაში კვლავ დება სახელმწიფოსათვის მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი რ ბის დატაცება და განიავება.

მეორეული სილიკომანგანუმის მოპოვებისა და რეალიზაცი დგომი მოწესრიგების უზრუნველყოფის მიზნით:

1. აიკრძალოს, გარდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნი საყარისა, მეორეული სილიკომანგანუმის შეგროვება მთლიანად თველოს ტერიტორიაზე.

2. ვინაიდან საქართველოში ფეროშენადნობების ერთადერთ მოებელი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაა, მიენიჭოს როშენადნობთა გენერალური ექსპორტიორის უფლებები დ ციები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წიდებიდან მეორეული ფ ნობების ნარჩენების (მათ შორის მეორეული სილიკომანგ პოვებისა და მისი რეალიზაციის საკითხები როგორც ში თაშორისო ბაზარზე კონცენტრირებულ იქნეს ზესტაფონი ნობთა ქარხანაში.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს მეორეული სილიკომა პუბლიკის საზღვრებს გარეთ გატანის თაობაზე დღემდ ყველა ლიცენზია, გარდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ხელზე გაცემულისა.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკური ურ კომიტეტმა და საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპა უზრუნველყონ ლიცენზიების ზემოაღნიშნული წესის დაცვა.

4. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ:

— უზრუნველყოს მეორეული სილიკომანგანუმის შეგრო ლოდ ქარხნის წიდასაყარიდან;

— საჭიროების შემთხვევაში გააფორმოს ხელშეკრულება მანგანუმის და მანგანუმის მადნის მეორეული ნედლეულის ბის შესახებ მის მიერ გამოყოფილ ტერიტორიაზე და მის მ საზღვრული რაოდენობით;

— მკაცრი კონტროლი დააწესოს ქარხნის წიდასაყარიდან რეული სილიკომანგანუმისა და ლითონკონცენტრატის შეგროვ ტექნოლოგიური რეჟიმისა და უსაფრთხოების ტექნიკის დაცვას;.

5. საქართველოს რესპუბლიკის სარკინიგზო ტრანსპორტის, საავტ მობილო ტრანსპორტისა და საზღვაო სანაოსნოს დეპარტამენტებმა მე რეული სილიკომანგანუმის გადაზიდვა განახორციელონ მხოლოდ ზე ტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის განაცხადებით.

6. დაევალოთ რესპუბლიკის სამართალდამცავ და საზედამხედველ ორგანოებს იმერეთის მხარის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით „საქ სამთომეტალურგიის" კონცერნთან ერთად უზრუნველყონ ამ ბრძან ბულების შესრულების კონტროლი.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 7 მარტი.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

„იძულებითი ან სავალდებულო შრომი შესახებ" კონვენციასთან შეერთების თა

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკა შეუერთდეს „იძულებითი ან ებულო შრომის შესახებ" საერთაშორისო კონვენციას.
2. ამის შესახებ ქცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზ ნერალურ მდივანს.

საქართველოს პარლამენტი
ვახტანგ გოგუ

თბილისი, 1995 წლის 22 თებერვალი

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე აიკრძალოს:

ა) ტოქსიკური და რადიაქტიური სამრეწველო და საყოფაცხოვრე ნარჩენების ტრანზიტი და იმპორტი, მათი საქართველოს რესპუბლი ში უტილიზაციის, გაუვნებელყოფის, გადამუშავების, დამარხვის ნებისმიერი სხვა მიზნით;

ბ) სხვა სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების იმპორტი თი გაუვნებელყოფის, დაწვის ან დამარხვის მიზნით.

2. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაშვებულია ა ქსიკური და არარადიაქტიური ნარჩენების იმპორტი, მხოლოდ შემდგომი გადამუშავების ან რეექსპორტის მიზნით. ეს ნარჩენებ ვი და ფერადი ლითონების ჯართი, ყველა ტიპის მაკულატურ სტმასები (მხოლოდ იმ ტიპის, რომელთა გადამუშავება საქარ რესპუბლიკაში შესაძლებელია), საფეიქრო და საგალანტერიო წ ის, ხის გადამუშავების (ბურბუშელა, ნახერხი), აგრეთვე, მინის ნები.

3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი აკმაყოფილე რთველოს რესპუბლიკისა და ექსპორტიორი ქვეყნის კანონმდ მოთხოვნათა შორის უმკაცრესს.

4. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნარჩენების რებისას მათ თან უნდა ერთვოდეს ექსპორტიორი ქვეყნის სერ ტი ნარჩენების წარმოშობის, მათში მავნე ნივთიერებების შემ ბის და მათი ექსპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობასთან შესა ბის შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემ დროს ნარჩენები უნდა შემოწმდეს საქართველოს რესპუბლიკ რემოს დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მი გაიცეს სერთიფიკატი ნარჩენებში მავნე ნივთიერებების შემცველ და მათი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობასთან შესაბა ბის შესახებ.

5. ამ კანონის დამრღვევი პირები პასუხს აგებენ საქართვე რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუა

თბილისი, 1995 წლის 8 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამინ იყოს, ბატონო იგორ! ამინ იყოს!

სარედაქციო ფოსტიდან: ყველას თავისი აზრი აქვს

საქართველოს ისტორიის უკანასკნელი მონაკვეთი პირობითად შეიძლება „დაპირისპირების მონაკვეთად“ იწოდოს. დაპირისპირება ძველი და ახალი ხელისუფლების მომხრეებს შორის, დაპირისპირება დედაქალაქსა და რეგიონებს, ოპოზიციასა და პოზიციას, პოლიტიკურ პარტიებსა და ფრაქციებს, სამხედრო ფორმირებებს შორის, დაპირისპირება სახელმწიფოს მეთაურის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის, ისევე როგორც პრეზიდენტყოფილისა, დაპირისპირება პარლამენტში და პარლამენტს გარეთ, ქალაქში, სოფელში, რეგიონში. ეს ბუნებრივია, ქართული სახელმწიფო აზროვნება ფორმირების პროცესში იმყოფება, ამიტომაც მსხვრეულია და დაქუცმაცებული.

აბაშიძე — გიორგაძე — ამ დაპირისპირებამ ქართული პოლიტიკური აზროვნების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთი რანგით ერთ-ერთი უმაღლესი ოფიციალური პირია საქართველოში, ხოლო მეორე სახელმწიფოს „პირველი მზვერავი“, არამედ იმიტომაც, რომ საქართველოს ბედი წყდება. დღეს ქართული სახელმწიფო აზროვნება გზაჯვარედინზე დგას. ერის პოლიტიკური ცნობიერება, რომელიც ისტორიული გაუწონასწორებლობით ხასიათდება, ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობისაკენ გადაიხარა. „პროვინციული ფაშიზმის“ კონტურებმა ძველი კგბ-ს სახელმწიფოს კონტურებს დაუთმეს ადგილი. ბალანსი დაირღვა. სწორედ ამ დარღვეული ბალანსის პირდაპირი შედეგია პოლიტიკური ტერორის მომძლავრებაც და ზემოხსენებული კონფლიქტიც.

ამ წერილის მიზანი მოვლენათა არსში წვდომაა და არა მტყუან-მართლის გარჩევა. მართალია, ბატონი ასლან აბაშიძე, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო ბატონი იგორ გიორგაძე რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის უფროსი, არსებობს უფრო მაღალი ცნებები და კატეგორიები, ვიდრე ამა თუ იმ პიროვნების თანამდებობაა და რანგი. მკითხველს ვთხოვ სწორედ ამ ისტორიულ-სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ-ფილოსოფიურ პრიზმაში გაატაროს საგნები და მოვლენები. ეს კონფლიქტი მხოლოდ საბაბია, იარლიყი, ზედაპირი იმ სარკისა, რომელშიც საქართველოს უახლოესი პოლიტიკური წარსული, დღევანდელობა და ასევე უახლოესი პოლიტიკური მომავალი მოჩანს.

ახლა ამ კონფლიქტის სიბრტყეზე „ჩამოვქვეითდეთ“. თუმცა ძნელია „ჩამოქვეითება“ უწოდო იმ დაპირისპირებასთან მიახლოებას, რომელიც საკუთარ წიაღში უზარმაზარ საშიშროებას მოიცავს. არა მარტო აჭარის რეგიონისათვის, არამედ მთლიანად საქართველოსათვის და უფრო შორსაც. როდესაც თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკურ კატაკლიზმებს ვაკვირდებით, აშკარა ხდება ერთი უცილო ჭეშმარიტება: სისხლი იღვრება იქ, სადაც გონების დეფიციტია. ჩეჩნეთის ტრაგედია ბრწყინვალე მაგალითია ამისა.

ამიტომაც შევეცადოთ 1995 წლის 7 მარტს „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილი ბატონ იგ[illegible] გიორგაძის გახმაურებული ინტერვიუს მაღალი გონების თვალით მოხილვას, ინტერვიუსი, რომელსაც ასევე საკმაოდ ხმაურიანი ქვესათაური აქვს: „იგორ გიორგაძემ მიიღო ასლან აბაშიძის გამოწვევა...“ მაღალი გონების თვალითო რომ ვამბობ, არა მარტო პოლიტიკური გონის სიმაღლესა და სიცივეს ვგულისხმობ და სიმპათია-ანტიპათიის უგულებელყოფას, არამედ მოვლენათა განვითარების ლოგიკას და იმ მთლიან პოლიტიკურ პანორამასაც, რომელშიც გვიხდება ცხოვრება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე მკითხველმა მაპატიოს არც თუ მოკლე ციტირებანი ზემოხსენებული ინტერვიუდან.

მაშ ასე. იგორ გიორგაძე: „ის აჟიოტაჟი, რომელზეც თქვენ მიუთითებთ, ინსპირირებულია იმათგან, ვისაც ხელს არ აძლევს სტაბილიზაცია საქართველოში, მისი იმპულსები აჭარიდან მოდის და ამ „საქმეში“ ჩართულია ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (თუკი არსებობს იქ უზენაესი საბჭო), რუსეთის არმიის იქ დისლოცირებული დივიზიის უფროსი გენერალი გლადიშევი, რომელიც ფაქტობრივად მისი ხელქვეითი იყო... მათ ურთიერთობას სხვაგვარ კვალიფიკაციას ვერ მივცემთ, რადგან ეს უკანასკნელი ბატონ აბაშიძისაგან იღებდა ხელფასსაც და ბრძანებებსაც. ასეთი დამოკიდებულება მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთის არმიის სარდლობისათვის და მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსეთის არმიის ჯგუფის სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა თევდორე რეუტმა გადაწყვიტა წერტილი დასმოდა დივიზიაზე ასეთ კურირებას, ატყდა ეს განგაში...“

აქვე იბადება კითხვა: რატომ გადაწყვიტა თევდორე რეუტმა წერტილი დასმოდა „დივიზიაზე ასეთ კურირებას“? ვის სასარგებლოდ? რა თქმა უნდა, ქართულ სახელმწიფოს ხელს აძლევს ქართველი ხელისუფლისა და რუსი სამხედროს ასეთი დამოკიდებულება, რამაც ბევრად განსაზღვრა მშვიდობა და სტაბილურობა აჭარაში, და რასაც არასოდეს მალავდა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე. რაც შეეხება ბატონ იგორ გიორგაძეს, იგი როგორც რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის უფროსი, უნდა მიესალმებოდეს აჭარის ხელისუფლებისა და აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ბაზის ხელმძღვანელის კეთილგანწყობილ ურთიერთობას და „ხელქვეითობის“ ან სხვა ცილისმწამებლური და დამამცირებელი იარლიყით არ უნდა ამკობდეს. მკითხველს ვთხოვ ღრმად ჩასწვდეს ამ ნიუანსს, რათა საქართველოს ნგრევისა და დაქუცმაცების ანატომია გაითავისოს.

იგორ გიორგაძე ზემოთქმულს „მიზეზს ზედაპირზე“ უწოდებს და აცხადებს: „ახლა, მოდით, უფრო ღრმად ჩავიხედოთ, ასლან აბაშიძე დაკვირვებული კაცია, ინფორმაციას ფლობს, იცის, რომ უკვე შეიქმნა აფხაზეთის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის კრიზისის გადაწყვეტის რეალური პირობები. ამ მწვავე პრობლემების გადაჭრა კი გამოკვეთს და გამოამჟღავნებს იმ ფაქტობრივ მდგომარეობას, რომელიც აჭარაში უკვე სამი წელია ჩამოყალიბდა და შენიღბული თუ შეუნიღბავი სეპარატისტული მისწრაფებებით ხასიათდება“.

მივყვეთ „ამ სიღრმეებს“. თავდაპირველად უნდა აღვნიშნო, რომ ეს არ არის რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის უფროსის დონე. „პირველი მზვერავი“ უფრო ცივი უნდა იყოს, ნაკლებად პოეტი და მეტად რეალისტი. „რა იქნება“, ჩვენ არ ვიცით, რეალობა კი ასეთია: ჩვენ ჯერჯერობით ძალზე რთული მდგომარეობა გვაქვს აფხაზეთშიც და შიდა ქართლშიც, სწორედ ჩვენი მეოცნებე, ფანტაზიებით მდიდარი და თავნება ქართული ხასიათის წყალობით. სხვათა შორის, ასლან აბაშიძე ნამდვილად დაკვირვებული კაცია, ინფორმაციასაც ფლობს და თავის დროზე დააფიქსირა კიდეც თავისი პოზიცია ამ მიმართებით. რაც შეეხება ციტატის მეორე ნაწილს, აბაშიძის „სეპარატიზმზე“ მე ქვემოთ უფრო დაწვრილებით მექნება საუბარი, ახლა კი ვიტყვი: საქართველოს ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ასლან აბაშიძის მიერ რეგიონის მართვის სტილმა და ხელწერამ პოზიტიური ნაყოფი გამოიღო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აბაშიძემ „შეკრა“ აჭარა, რის წყალობითაც იქ სისხლი არ დაღვრილა. არ დაღვრილა მაშინ, როცა მთელი საქართველო სისხლად იღვრებოდა. რაც შეეხება „სხვა ფაქტობრივ მდგომარეობას“, „შენიღბულ და შეუნიღბავ სეპარატისტულ მისწრაფებებს“, ეს სერიოზული ბრალდებაა და ფაქტების ენაზე უნდა დამტკიცდეს. აქვე შევახსენებ მკითხველს — ამ წერილის ავტორის არც მიზანია და არც კომპეტენცია ამა თუ იმ პიროვნების დაცვა ან ბრალდება, ეს სხვა სიბრტყეზე უნდა მოხდეს, სხვა დონეზე, და რაც მთავარია, ფაქტების ენაზე, რისთვისაც, უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ეს კარგად მოეხსენება, არსებობენ შესაბამისი ორგანოები.

იგორ გიორგაძე: „საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ბატონი ასლან აბაშიძე გზადაგზა ძალიან მარტივად პოულობს თანამოაზრეებსა და მხარდამჭერებს, მისი პიროვნების პროპაგანდისტებს, საკმარისია ეწვიოს საინტერესო სტუმარი, თუნდაც თბილისიდან, რომ ხდება, რბილად რომ ვთქვა, მოლაპარაკება, სტუმარი ძალიან კმაყოფილი ბრუნდება და ერთგული მომხრე ხდება მისი. ამის მოწმე მე თვითონ ვარ, რადგან ასეთი რამ ჩემს თვალწინ ხდებოდა. აბაშიძე ძალიან ხშირად ამით ამაყობდა. ერთ-ერთ პარტიას, მაგალითად, გარკვეულ ეტაპზე, ძალიან უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა მისდამი, მაგრამ საკმარისი იყო იმ პარტიის ლიდერი ჩასულიყო ბათუმში, რომ ერთ კვირაში თბილისში გამო[illegible] და სტატია ამ პარტიის გა[illegible] ასლან აბაშიძემ მაშინ თქვა: — ხომ ხედავთ, შეიძლება ხალხთან საუბარიო...“

არც ეს არის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელის დონე. ნამდვილად არ შეჰფერის უშიშროების შეფს მითქმა-მოთქმის ენაზე საუბარი, მით უმეტეს, რომ ის თავადაც ხშირად ყოფილა „სტუმარიც“ და „კმაყოფილიც“. ეს უკვე მე მინახავს. უფრო მეტიც, გენერალ ყარყარაშვილთან გახმაურებული დაპირისპირების დროს, იგორ გიორგაძე, რომლის სიცოცხლესაც რეალური საფრთხე ემუქრებოდა, ბათუმში მეუღლესთან ერთად 6 თვის განმავლობაში ერთ-ერთი ხელმძღვანელის ოჯახში აფარებდა თავს აჭარის ხელისუფლების განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ. ასე რომ, „სტუმარ-მასპინძლის“ თემა „პირველი მზვერავისათვის“ აშკარად წამგებიანია.

რაც შეეხება ზემოთ მოყვანილი ამონარიდის მეორე ნაწილს: პარტიის ის ლიდერი, აწ განსვენებული გიორგი ჭანტურია გახლავთ. მკითხველმა ემოცია მაპატიოს, მაგრამ აქ უკვე ტკივილი თავისას ამბობს, აქ უკვე „დონეზე“ ლაპარაკი აღარ არის. ბატონ იგორ გიორგაძეს არც იურიდიული და არც მორალური უფლება არა აქვს ამ თემაზე საუბრისა, ეს მომავლის თემაა და ჩვენ მას არაერთგზის დავუბრუნდებით.

შემდგომ უშიშროების სამსახურის უფროსი ზოგად ბრალდებებზე გადადის, სადაც აჭარის თავკაცი ავტორიტარული რეჟიმის მქადაგებლად და გამტარებლად არის გამოყვანილი და აგრეთვე იმ არეულობით დაინტერესებულ პირად, რომელსაც უშიშროების უწყების ხელმძღვანელის აზრით (მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი [illegible] ნტი ისევ აფხაზეთის კონფლიქტის გადაჭრაზე კეთდება), საქართველოში ბოლო ელება. ზემოთ ვთქვი და ისევ გავიმეორებ: სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელს არ ეკადრება მოვლენებისათვის წინ გასწრება, ამ წერილის ავტორიც (თუმცა იგი „ინფორმაციას“ არ ფლობს) ღრმად არის დარწმუნებული, რომ აფხაზეთისა და შიდა ქართლის პრობლემები გადაწყდება, კრიმინოგენული სიტუაციაც გამოსწორდება, სახელმწიფოც სახელმწიფოს დაემსგავსება, მაგრამ დროზე ადრე ნუ ვილაპარაკებთ, უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი ნუ ილაპარაკებს მაინც. რაც შეეხება „ავტორიტარულ რეჟიმს“, ზემოთ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: საქართველოს ისტორიის გარკვეულ ეტაპზე სწორედ ამ „რეჟიმმა“ უფრო კი, ზუსტად აჭარის ხელისუფლებისა და მოსახლეობის ერთ აზრად, ერთ მუშტად შეკვრამ და ავტორიტარულმა მართვამ (რა თქმა უნდა, რუსეთის სამხედრო ბაზის ფაქტორთან ერთად) განსაზღვრა სიმშვიდე და სტაბილურობა აჭარაში. ყველგან იყო ნგრევა, სისხლი, დაპირისპირება, აჭარაში — არა. ნუთუ ეს ცოტაა? ანდა როგორ შეიძლება არეულობით დაინტერესებული იყოს კაცი, რომლის რეგიონი თითქმის ერთადერთია, სადაც ბოლო წლების მანძილზე აღმშენებლობითი პროცესი მიმდინარეობდა საქართველოში. ფანტაზიების სფერო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელის აზროვნების სფერო არ უნდა იყოს. ეს მისი პირდაპირი პროფესიული ვალია.

სხვათა შორის, — პროფესიაზე. (მკითხველს მინდა შევახსენო, რომ ვცდილობ აბზაც-აბზაც მივყვე გიორგაძის ნაშრომს). ბატონი იგორის შელახული „პროფესიული თავმოყვარეობა“ იმდენად მძაფრი ფანტაზიების სფეროში გადადის, რომ არ შემიძლია ამის შესახებ არ ვისაუბრო.

იგორ გიორგაძე: „სხვა საკითხია, თუ რატომ მაინც და მაინც მე ამომიღო მიზანში ბატონმა ასლან აბაშიძემ. რა დასამალია, რომ ეს მისთვის ძალიან წამგებიანია. გეტყვით რატომაც. როგორც უნდა ეცადოს ისიც და მისი ზოგიერთი გულშემატკივარიც, უშიშროების სისტემა ვერ იქნება კორუმპირებული, რადგან მისი უარყოფა თვით ამ სისტემის ბუნებაში დევს... კარგად იცით, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში შეეცადნენ უშიშროების სისტემის გახრწნას ვითომც ეროვნულ ტალღაზე, კორუმპირებულებისა და ბანდიტების შემოყვანით. არ გამოუვიდათ...“

უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ რატომღაც ბატონი იგორი თავის თავს უშიშროების კომიტეტთან აიგივებს. ეს მთლად ასე არ უნდა იყოს. როდესაც კგბ-ს ვახსენებ, ძველი სკოლა მაქვს მხედველობაში, ძველი აზროვნებით, ძველი მეთოდებით და მსოფლხედვით; და არამც და არამც — უშიშროების სამსახურის ახალი ტალღა. შესანიშნავი თაობა მოდის, ერუდირებული, დახვეწილი და, რაც მთავარია, მამულიშვილურად გულანთებული საკუთარი სახელმწიფოს განცდით. იგორ გიორგაძე საკუთარ თავს ამ თაობას ნამდვილად ვერ მიაკუთვნებს. მისი ფესვები სულ სხვა სკოლიდან იღებენ სათავეს. სკოლიდან, რომელსაც ლავრენტი ბერიას სკოლა ჰქვია და რომელსაც ძალიანაც რომ მოინდომებინა, ვერაფრით ვერ „გახრწნიდა“ „ეროვნული ტალღა“.

[illegible] ისევ აბზაც-აბზაც: „თავის მართლებისათვის არ ვლაპარაკობ, ეს მე არ მჭირდება. ვამბობ იმას, რაც სრულად გამომჟღავნდება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება იმის გასარკვევად, რა და როგორ კეთდებოდა პირველი დღიდან, როდესაც ყოფილი ხელისუფლების მედროვეებმა კანონის დარღვევით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სათავეში ასლან აბაშიძე დასვეს თუ არა აჭარის მაშინდელი ხელმძღვანელობის სულგრძელობა. იქ მაშინ სისხლი დაიღვრებოდა...“

აქ ერთი რამ ერთსახოვნად უნდა ითქვას: ასლან აბაშიძე ის გამონაკლისთაგანია, რომელიც უსისხლოდ მოვიდა ხელისუფლებაში. ბოლოს და ბოლოს შუა რუსთაველზე მთავრობის სახლს ზარბაზანი ვესროლეთ. ესეც რომ არა, ალბათ, ყველას ახსოვს ასლან აბაშიძის ჟესტი იმ დროის კონტექსტიდან სრულიად ამოვარდნილი — პრეზიდენტყოფილის თანდასწრებით კრემლის აგენტად მონათლული წინანდელი, სხვათა შორის, აბაშიძის მოსვლამდე კარგა ხნით ადრე განთავისუფლებული, ხელმძღვანელი პირის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონში მოხმობა. ეს ყველას ახსოვს და ბატონ იგორსაც უნდა ახსოვდეს.

ამის შემდგომ ბატონი იგორი მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ლირიკულ გადახვევას“ გვთავაზობს, სადაც თავისი ოჯახის აჭარასთან დამოკიდებულების ისტორიას მოუთხრობს მკითხველს. მე მწამს მისი სიტყვების გულწრფელობისა. არ შეიძლება აჭარა არ უყვარდეს კაცს, რომელსაც ოდესმე აჭარაში უცხოვრია. არ შეიძლება არ ჰყავდეს მეგობრები, კეთილმოსურნენი, თაყვანისმცემელნი თუნდაც, მაგრამ, ბატონო იგორ რა ძალამ გადაგადგმევინათ ეს ნაბიჯი, ანდა რა ძალამ დაგანახათ „მოჩვენებითი სიმშვიდე“ აჭარაში? განა ჩვენ ერთხელ შევხვედრივართ ერთმანეთს აჭარის უზენაესი საბჭოს შენობაში და ერთხელ გითქვამთ თქვენ, რომ ბათუმში სულიერად ისვენებთ? რა ძალამ შეგცვალათ. ნუთუ ასე ძლიერია ძალაუფლების დემონი? ერთ რამესაც შეგახსენებთ: პირველობა მოცემულობაა — და არა მიზანი. ტვირთი — და არა ნადავლი, ძალაუფლების დემონმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ.

„იმის მეშინია, რომ ავტორიტარიზმისკენ პროვინციულმა სწრაფვამ არ იმსხვერპლოს ის, თუნდაც მოჩვენებითი სიმშვიდე, რომელიც დღეს აჭარაში არის. რადგან ასლან აბაშიძეს ძლიერი ოპოზიცია ჰყავს. ეს ოპოზიცია ძლიერი და გონიერია და ამ თვისებიდან გამომდინარე მოვუხმობ — არავითარ შემთხვევაში იარაღით, ძალადობით არ გაილაშქრონ თუნდაც ფეოდალურ-კლანური ხელისუფლების წინააღმდეგ...“

ეს უკვე დემაგოგიაა. ბატონი იგორი ხშირად კარგავს რეალობის განცდას. ის, როგორც უშიშროების უწყების ხელმძღვანელი, კარგად უნდა გრძნობდეს თუ საიდან მოდის საშიშროება — რუსთაველიდან, ქვემო ქართლიდან, თუ თბილისიდან... და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაარღვიოს „მოჩვენებითი სიმშვიდე“ აჭარაში, თუ ამის უფლებას და საშუალებას მისცემენ. რაც შეეხება ასლან აბაშიძის იარაღით დამხობას, ოღონდ თავად ნუ დაგეგმავს ამას მაღლიდან (სიმაღლეში თბილისზე უფრო დიდი სივრცეები მაქვს მხედველობაში) და რესპუბლიკელები ხატზე დაიფიცებენ, რომ ასეთ რამეს არ იკადრებენ. უშიშროების შეფს ისეთი რამ არ უნდა ამოსცდეს ბაგეთაგან, ბავშვსაც რომ გაეცინება. აკადემიურ ენაზე ზემოთ მოხმობილ ციტატას ირიბი გზებით შეიარაღებული კონფლიქტის ინსპირირება ჰქვია. უშიშროების უწყების ხელმძღვანელს ეს კარგად მოეხსენება.

(დასასრული მე-4 გვ.).

პოეზია უპირველეს ყოვლისა

დავით ტიგინაშვილი

დამალოცინეთ მზე-ბუნება საქართველოსი!

შენლა მაცოცხლებ, დედამიწის ცვარო დილისავ,
მრუდე ვაზების დანაყურო, ჩემო თილისმავ! —
ცისფერ კაბაში გაპრანჭულო დილის ყვავილო,
საჯიხვეებზე ჭიუხებში ნადირთ ბლავილო,
ქარვის მტევნებო, ქალწულისგან არც რით ნაკლებო,
მწვანე ფოთლებში ჩაწიკლულო ტყუპა-კაკლებო,
ოქროს სხივებით დაფრქვეულო ძოწეულებო,
პირდაღებულო სისხლისფერო ბროწეულებო!..
ჩემი ბავშვობის სანატრელო იწილ-ბიწილო,
დილით ეზოში გამოშლილო კრუხო-წიწილო,
პაპის ნაქონი კარაბინის ტყვიით კაკანო
და ბადრი მთვარით დარწეულო ტკბილო აკვანო,
მოულოდნელად დაცემულო მტრედის ბუმბულო,
შენ შემოგევლე, სიყვარულო, შენით ვსულდგმულობ!
ტაძრის ფრესკებზე დაცრემლილო წმინდა ქალებო,
დედის ლოდინით დანაზულო შვილის თვალებო,
დაატრიალეთ საქორწილოდ ყურძნის საწური
არაფერი გაქვს, მზეჭაბუკო, შენ დასაწუნი.
ქვევრების პირზე შემოვაწყობ რქაწითლის ფოთლებს,
მუხლდაჩოქილი ვეფერები დასაწურ გოდრებს!
ღვინო დამისხით, მივეგებოთ ბულბულს მდელოში,
დამალოცინეთ მზე-ბუნება საქართველოსი.

ველური დილა

შეუფრქვევია მზეს ზეცაში ღრუბლების ფთილა,
მტრედის ღუღუნში დამათენდა აპრილის დილა.
ნუშის კვირტებმა ზედ დამადნო გულზე სამანი,
სულში მეფრქვევა გაზაფხულის იასამანი.
გავეშილია საქონელი, ანგრევს ტყე-კლდეულს,
შავი ბუღიტა ებღვირება ნიშა დეკეულს,
რა ქარიშხალი დამაწყნარებს, გრძნობით გაქაფულს.
ჭინჭრით დასუსხვა მირჩევნია ბატკნის ჩაქაფულს,
ჩამამიქროლე ვით ქორბუდა შველი-ირემი,
დაგედევნები ნაკვალევზე მე ხარ-ირემი,
ხვადი ლომივით დაგებრდღვნები მინდვრის ზიზილავ.
რა გულსაკლავად აწივწივდი, ჩემო წიწილავ,
რა ანგელოზმა გაგაჩინა, ვარდო რვაფერი,
ჩამოუკოცნე შენს დედიკოს სუყველაფერი,
ერთი ნეკნიდან ახლიჩილებს ღმერთი დაგვიცავს,
შენს პატარა გულს ვენაცვალე, სულში ჩაგისვამ...

[illegible]

[illegible] რად [illegible],
რად სტირი ქალო გულქანო,
ვაჟაის სისხლის ყივილზე
ამოსკდი, ლექსის ვულკანო!

ამაიმღერე, მგოსანო,
გულს ჯავრი შამამეყარა,
ააწკრიალე სიმები
გამოაფხიზლე ქვეყანა.

ჩაყანგებულო კლდე-კარო,
ნისლები მესალბუნება,
გულს ჩაგიწურავ ფესვებში,
ოღონდ გაცოცხლდი, ბუნებავ.

ფანდურზე ვმღერი შენს ლექსებს,
არაგვისპირზე მღეთაში,
გადაგკრავ, ყიპიტაურო,
შენ თუ გამაფრენ ზეცაში.

გაჟღენთილი ვარ, ფშაველო,
შენი ლექსების წარაფით,
მეც ხომ მთის დანაყური ვარ,
გადამიარე არაგვით!

* * *

დარდმა წამილო წამიერ,
ფიქრებით გახკდა თავია,
აღარა სძინავს ქვეყანას
აღარც დღე, აღარც ღამეა.

ველარ გავსულვართ მინდვრებში,
განგებ ვერ ვდგებით დილითა,
გზაში მანქანებს გვართმევენ
სიმწრით და ბოღმით ვტირითა.

ცხვარ-ძროხა ველარ გაგვიდის
იალაღ-საძოვარზედა,
ავტომატებით გვართმევენ,
იყურებიან მკლავზედა.

მძვინვარებს ქართვლის მაფია,
სად მიაქვთ დოლარ-ფულები,
ვენახში ველარ წავსულვართ,
ბოღმით გვისკდება გულები.

შელონდა ხალხი, შელონდა
უსამართლობის გულისთვის,
კარში ვერ გახვალ, მოგკლავენ
ერთი მანეთი ფულისთვის.

როს გაგვახარებ, მთავრობავ,
მოგვწყურდა მთისა წყარონი,
ხალხს მოგვენატრა სიმშვიდე,
სამართალი და კანონი.

* * *

რამ გადაგრიათ, ჩვენო ბიჭებო,
რად აიყარეთ გული ფორანზე,
რას ახურდავებთ ქართულ
მიწა-წყალს,
ნამუსს, კაცობას ფულზე,
დოლარზე?!

ჰაი, დედასა, ჩემო ქვეყანავ!...
ჩამოძარცულო, უგზო-უხიდოვ,
იმდენი მაინც დაგრჩა,
სიცოცხლევ,
რომ შეყვარებულს ვარდი
ვუყიდო?

ჩვენი სიმდიდრე საქართველოა
და სიამაყე ძველი თბილისი...
რაც გვიშოვნია, ჯერ იმის დედა,—
რასაც ვიშოვნით მერე იმისი!

შადრევნების ნაპერწკლებზე ცქრიალებ

შადრევნების
ნაპერწკლებზე ცქრიალებ,
მშვენება ხარ
ვით ჩუქურთმა რიკული,
ღამე
თანავარსკვლავედში დაფრინავ,
რაღაცა გაქვს
გულო, გალაქტიკური.
გულო, გულო,
სიყვარულის ვულკანო,
დაეფრქვიე
ლამაზების ქუჩებზე
ნეტარება
იმ ფურსულა გოგონებს,
ვისაც გრძნობით
დაადნები ტუჩებზე.
მარგალიტის
ნიაღვარზე შობილო,
ქალით ცოცხლობ,
ღვინოს წრუპავ ტიკიდან,
ფერიები
ტკბილად გაგიხსენებენ —
გიჟი იყო,
უცხო გალაქტიკიდან.

* * *

ახალგაზრდობას, ლამაზო,
მკოცნიდი ნორჩი ტუჩებით,
ხელკავით დამატარებდი
ძველი თბილისის ქუჩებით.

ეტყობა, ცოტა დავბერდი,
გავკივი, როგორც მამალი,
მშვიდობით ახალგაზრდობავ
სად გამიფრინდი ფრთამალი?

მთელი ლამაზი სიცოცხლე
შენ გიმღეროდი ბუნებავ,
თერგის მნახველს მკლავ,
სიკვდილო,
რად არ გიკვდება გუნება?!

„მარტყოფის“ ველი

იალნოს მთაზე გაწოლილა შავი ღრუბელი,
როგორც გრიგალი დამეჯახა გაღელილ მკერდზე,
დაღებული აქვს ხახა ურჩხულს, როგორც შაჰაბასს
და სურს დაამხოს საქართველო მარტყოფის ველზე.
ღმერთო, ისმინე ლოცვა ჩემი განთიადისას,
საქრისტიანო დამილოცე, შე უკვდავებავ,
შენ დაიფარე საქართველო შავი წარღვნისგან, —
„მამა ანტონე“, „აპარანო“, „დიდო ღვთაებავ!“
თითქოს ისმინა ზეციერმა, ცა გადაიხსნა,
ო, საქართველოვ, შენს მტვერსაც კი არვის გავატან,
ნეტა ვინ არის, ლომივით რომ დაიღრიალა, —
სააკაძეა, გიორგი თუ შვილი პაატა?
ცხენის ფლოქვებით ირყეოდა მარტყოფის ველი,
მადლი ჭაბუკო, საქართველო სიმწრით გმინავდა,
მზის ამოსვლამდე ჩამოკაფა შავი ურჩხული
და ცის ვარსკვლავი ისევ ღმერთთან გაუჩინარდა...
ოქროსთმიანი ქალი ციდან სატრფოს ლოცავდა,
ღმერთო ქართველებს მიეც ძალა, ბრძოლაში ნიჭი,
ორსული ქალი უფალს ხატზე ევედრებოდა:
მუხლი მომყარე, ღმერთო, მომეც ლომგულა—ბიჭი!
ქარმა გაფანტა იალნოდან შავი ღრუბელი,
მარტყოფის ველზე მივაბიჯებ სუნთქვაშეკრული.
დაიზრდებიან ამ ველებზე ლომა-ბიჭები,
ო, საქართველოს ისტორიავ, შენ ხარ ბედკრული!..
ღმერთო, დალოცე წინაპართა ძვალთშესალაგი,
ვაიმე გულო, ვით დაჭრილი ლომი ღრიალებ.
აი, რად მომყეფს სისხლ-ძარღვებში მარტყოფის ველი, —
აქ სააკაძის და გმირების სული ტრიალებს.

ლექსო, ოხერო!

ლექსო, ოხერო!
შენს ქურაში ამოვიხუთე,
ბოლო წერტილი დაგისვი და
ამოვისუნთქე!

მელნის მაგივრად საწერ-კალამს
ღვინით ვაგრილებ
და მაჟარივით ახალ ბწკარებს
ფიქრით ვაღვინებ.

შენი რითმები
იქამდე არ მომასვენებენ,
სანამ იმქვეყნად
დუდუკით არ წამასვენებენ!

ავხედავ ღმერთს და
სიხარულის ცრემლით ვტირი მე...
გათეთრებულო ზერიკალო,
შენი ჭირიმე!

თვალსაზრისი

როგორი უნდა იყოს ახალი ქართული დროშა?

ბოლო წლებში პრესაში სისტემატურად ქვეყნდება მასალები საქართველოს სახელმწიფო დროშასთან დაკავშირებით, რომლებშიც საკმაოდ ხშირად გამოითქმება მოსაზრება მისი შეცვლის აუცილებლობის თაობაზე.

მართალია, შინდისფერ-შავ-თეთრმა დროშამ გარკვეულად შეასრულა ისტორიული მისია და ხმარებიდან განდევნა საბჭოური წითელი ალამი, მაგრამ, სამწუხაროდ, მოქალაქეთა ნაწილში არცთუ სასიამოვნო ასოციაციებს ბადებს, რადგან თავისი წინამორბედის მსგავსად რევოლუციებსა და მათთან დაკავშირებულ კატაკლიზმებს უკავშირდება. შედეგად, სახელმწიფო დროშა, ფაქტობრივად მხოლოდ სახელისუფლებო დაწესებულებებსა და ოფიციალურ ცერემონიებზე გამოიყენება, ხოლო რესპუბლიკაში გამართულ ღონისძიებებსა და მოსახლეობაში უფრო მეტად ქართული სახელმწიფოს ადრეული პერიოდებისა და დღეს მომრავლებული პარტიების სხვადასხვა ვარიანტებში გადაწყვეტილი დროშები იმართება.

დროშის შეცვლის თაობაზე საკითხის დასმა განსაკუთრებით აქტუალურად გვესახება სწორედ დღეს — მომავალი პარლამენტის არჩევნებისათვის მზადების პერიოდში.

მიმაჩნია, რომ დღეს, როცა საქართველომ სამომავლო სახელმწიფო აღმშენებლობის გზად ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე დაფუძნებული სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება აირჩია, სახელმწიფო დროშის შეცვლისა და დემოკრატიული გზით მისი დამკვიდრების აუცილებლობა დრომ მოიტანა. ბუნებრივია, არ გამოვრიცხავ დღევანდელი დროშის კონკურსში გამარჯვების და მისი დაკანონების შესაძლებლობას, მაგრამ გავბედავ და საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტან სახელმწიფო დროშის თაობაზე ჩემს თვალსაზრისს.

საბედნიეროდ, საქართველოს ისტორია მხოლოდ უკანასკნელი საუკუნით არ განისაზღვრება. ამდენად, ჩემი აზრით, ფაქტობრივად უკვე XXI საუკუნის საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკაში დუხჭირ აწმყოზე მეტად (დღევანდელ დღესთან ერთად მხედველობაში, ფაქტობრივად, მთელი საუკუნე გვაქვს, რომელსაც შავ-შინდისფერი ნამდვილად ესადაგება), ალბათ, ღირსეული წარსული და სამომავლო ორიენტირები უნდა იკითხებოდეს, დროშა კი უნდა იყოს „ჩვენი არსებობის ნიშანი — წარსულისა და მომავლის ერთგვარი სიმბიოზი“ (სრულიად სხვა კონტექსტში ნახმარი ეს ფრაზა ბ-ნ დავით ბუხრიკიძეს ეკუთვნის). ვფიქრობ, დროშის ფერების შერჩევისას მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, ხასიათის თავისებურებებს, ცნობიერებაში დამკვიდრებულ შეხედულებებს, იდეალებს უნდა დავეყრდნოთ და ორიენტირი ქართული ბუნების შესატყვის ფერებზე ავიღოთ, როგორებადაც თეთრი, ლურჯი და ცისფერი მესახება.

თეთრი — ღვთაებრივის, უმაღლესის, მარად ნათელის, მშვიდობის, კეთილშობილების, ქრისტიანობის სიმბოლო;

ლურჯი — უსაზღვროობის, უკიდეგანობის, კოსმოსის, ზღვის სიმბოლო;

ცისფერი — ცის, სივრცის, თავისუფლების, სიწმინდის, მარადყინულოვანი მწვერვალების, ევროპის კონტინენტის, დედამიწის სიმბოლო.

ლურჯ ფერს ქვეყნის წარსულის მნიშვნელობით აღვიქვამ, თეთრს აწმყოს (ზოგჯერ შეუცნობელს) ვუკავშირებ, ხოლო ცისფერს საქართველოს მომავლის სიმბოლოდ მივიჩნევ. მითუმეტეს, რომ ცისფერი ევროპის კონტინენტის ფერად არის მიღებული (გაერო-ს დროშაც იმავე ფერისაა) და ჩვენს მიერ არჩეული ევროპული ორიენტაცია და ცივილიზებულ ქვეყნებთან დაახლოების კურსის შეუქცევადობა ჩვენს სახელმწიფო დროშაშიც იქნებოდა ასახული.

სახელმწიფოს უპირველესი სიმბოლო მესახება ოქროს კვეთის პროპორციებით აგებულ, მართკუთხა ფორმის, თანაბარი ზომის ზოლებად დაყოფილ სამფეროვან დროშად ფერების ვერტიკალური (მიმდევრობით: წარსული — ლურჯი, აწმყო — თეთრი, მომავალი — ცისფერი), ან, შესაძლებელია, ჰორიზონტული (ქვემოდან ზევით: ლურჯი, თეთრი, ცისფერი) განლაგებითაც.

უპირატესობას პირველ ვარიანტს ვანიჭებ, რომლითაც საქართველოს დროშა, გარკვეულად, საფრანგეთის რესპუბლიკის სახელმწიფო დროშას ემსგავსება, რადგან რომც არაფერი ითქვას ქვეყნების ისტორიულ-პოლიტიკურ ურთიერთობებსა და ერთიან სამომავლო ორიენტირებზე, როგორც ჩემთვის ცნობილია, სამფეროვან დროშებში ლურჯი და თეთრი ფერების ვერტიკალური განლაგება (თანაც იმავე მიმდევრობით) მხოლოდ საფრანგეთის დროშაშია გამოყენებული, ხოლო ჰორიზონტულად განლაგებული იგივე ფერის ზოლები რუსეთის ფედერაციის გარდა ნიდერლანდების, პარაგვაის, ჰონდურასის, ნიკარაგუას, სიერა-ლეონეს, სამხრეთ აფრიკისა და არაერთი სხვა ქვეყნის დროშებშიც გვხვდება. წარმოდგენილი პროექტების მეტნაკლები მსგავსება საფრანგეთისა და რუსეთის დროშებთან ყველა შემთხვევაში გამართლებულად მიმაჩნია, რადგან მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებს გარდა, ვფიქრობთ, სადღეისოდ არსებულ რეალურ ვითარებას შეესაბამება და სიმბოლურადაც ასახავს საქართველოს მჭიდრო კავშირებს ამ ქვეყნებთან.

ჩემს მიერ მოკვლეული ინფორმაცია საფუძველს მაძლევს ვივარაუდო, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის ჩემი პროექტი (პირველი ვარიანტი) ფერთა გამით არ უნდა ჰგავდეს მსოფლიოს არცერთი სხვა სახელმწიფოს დროშას (გარკვეული მსგავსების გარდა საფრანგეთის დროშასთან, რომლის წითელი ნაწილი ამ შემთხვევაში ცისფერით არის შეცვლილი).

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სახელმწიფო დროშაში ფართოდ გამოყენებულ ლურჯსა და თეთრ ფერებზე ყურადღებას აღარ შევაჩერებ, ხოლო რაც შეეხება ცისფერს, აღვნიშნავ, რომ არც ის გამოიყენება იშვიათად და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროშის გარდა, ცისფერი დომინირებს საბერძნეთის, შვედეთის, არგენტინის, ლუქსემბურგის, ფინეთის, სან-მარინოსა და სხვა ქვეყნების დროშებში.

დროშის შუაგულში შესაძლებლად და სასურველად მიმაჩნია ქართული (ბოლნისის) ჯვრის გამოსახულების მოთავსება, რომელსაც, ვფიქრობ, საქართველოს დროშებში ადრე გამოყენებული შინდისფერი მოუხდებოდა, მითუმეტეს, რომ ძოწისფერი-შინდისფერი ბრძოლისა და სიცოცხლისუნარიანობის განმსაზღვრელი ფერია. ამასთან, მისაღებად მივიჩნევ ჯვრის გამოსახულება მოთავსებულიყო იმავე ფერის წრეში — მარადიულობის სიმბოლოში (საქორწინო ბეჭედი — მარადიული სიყვარულისა და ერთგულების სიმბოლო), რითაც მიღებული სიმბოლო გარკვეულად დაემსგავსებოდა საყოველთაოდ ცნობილ და ფრიად პოპულარულ მშვიდობისა და თავისუფლების სიმბოლოს, რაც კიდევ ერთხელ გაუსვამდა ხაზს ჩვენი ქვეყნის ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებზე ორიენტაციას. მისაღებად მივიჩნევ დროშის ცენტრში მზის (ბორჯღალის) ოქროსფერი (შესაძლოა სხვა ფერის) გამოსახულების მოთავსებასაც.

იმედს გამოვთქვამ, კონკურსი მრავალ ღირსეულ ვარიანტს წარმოაჩენს და მათ შორის გამარჯვებულ-დაკანონებული საქართველოს სახელმწიფო დროშა დამსახურებულ ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების დროშებს შორის, ხოლო რაც შეეხება ჩემს მიერ წარმოდგენილ პროექტს, შესაძლებელია სრულყოფილი არ იყოს, მაგრამ მას ორიგინალურად მივიჩნევ და ვფიქრობ მისი მიღების შემთხვევაში საქართველოს დროშა (სახელად გალაკტიონის „თეთრი ოცნება“ შეიძლებოდა დაგვერქვა), როგორც სახელმწიფო სუვერენიტეტის სიმბოლო, ისეთივე გამორჩეული იქნება, როგორც ეს ქართველობას და სრულიად საქართველოს შეეფერება.

ავთანდილ კახნიაშვილი.

უბის წიგნაკიდან

გადაძახილი

ჩვენებური...

1904 წელს ქართველმა გლეხკაცმა ძუკუ კვარაცხელიამ, რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ მეორე გააოცა: ასი დარჩეული ხარი მიჰგვარა საჩუქრად — ერთი ასაკის, ერთი წონის, ერთნაირი გარეგნობის, ერთი ფერის, — ოქროსფრისა და ყველა თეთრრქიანი.

ეგეც შენი ძუკუ....

ძუკუ კვარაცხელია, გამოჩნდი! ოღონდ მონაგარს უცხოზე ნუ გააჩუქებ, შენს ოჯახს, სამმოს, ხალხს მოახმარე.

გამოჩნდი, გოგოთურო!..

* * *

ქაქუცა ჩოლოყაშვილზე ა. სულხანიშვილს გასაოცარი ეპიზოდი აქვს მოხმობილი: ხევსურეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ საჭირო გახდა ქისტებთან მოლაპარაკება და კავშირების აღდგენა-დამყარება, მაგრამ პირიქით ხევსურებს ქისტების სისხლი ემართათ. ქისტებთან წასვლა მაინც გადაწყდა. ერთმა ხევსურმა, გოგოთურმა ორი ბავშვი — გოგო და ბიჭი მოიყვანა და ასე უთხრა წამსვლელს: „ეს ბავშვები ჩემი შვილის სულხანისეულნი არიან. ჩვენ ქისტების სისხლი გვმართებს. ესენი წაიყვანე და ქისტებს მიჰგვარეო“.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი გოგოთურის საქციელით გაოგნებულა, ბავშვების სასაკლაოზე გაგზავნა როგორ იქნებაო?! „რა ვუყოთ, ქაქუცა, სამშობლოს უჭირს, ქისტები ისე არ დაგვეხმარებიანო“, —უთქვამს გოგოთურს.

გოგოთურო, გამოჩნდი!

ოღონდ სისხლის „აღებ-მიცემობას“ მოვეშვათ.

ქვეყნის მომავალი — გოგო-ბიჭები დავზარდოთ, ოჯახს, ხალხს გამოადგებიან.

სიზიფი, ჩვენ და ათასწლეულები..

ადამიანი იმთავითვე გარჯისათვის, ოფლისათვის არის ამ წუთისოფელში მოვლენილი. გულხელდაკრეფილი ცხოვრება, იოლი ყოფა არასოდეს ჰქონია.

სისხლსა და ოფლში გაღვრილმა სიზიფმა, რომელსაც მთაზე უზარმაზარი ლოდი აჰქონდა, მაგრამ ბოლო წამს ყოველთვის უკან უგორდებოდა ხოლმე, შეკითხვაზე, უქმად რატომ ირჯებიო, უპასუხა: „მე სიზიფი ვარ, უნაყოფო შრომისათვის განწირული, ოღონდაც ნუ იფიქრებ, თითქოს სამარადჟამოდ... მხოლოდ ათი ათასი წლით“.

წინ კიდევ ერთი ახალი ათასწლეული გველის.

კიდევ ერთი, რიგით მესამე ათასწლეული გვაქვს გასავლელი.

შვიდი ათასწლეული დაგვრჩა და მაშინ, სიზიფი, უნაყოფო შრომისაგან განთავისუფლდება...

დიდი ნადირი და ფინიები

ძველი ნათქვამია: „დიდ ნადირს დიდი ნაგაზები ჰყეფენო“. ამ გამოთქმამ დროსა და სივრცეში ტრანსფორმაცია განიცადა,— დიდ ნადირს ხშირად პატარა ფინიებიც ჰყეფენ, კუდზე ეკიდებიან, მაგრამ დიდი ნადირი ფინიას ყურადღებას არ აქცევს, — თავისი გზით მიდის.

ნებისმიერ პროფესიაში, პოლიტიკურ სარბიელზე მით უმეტეს, — „პატრიარქის“ მანტიით თავის წარმოჩენა — ღიმილის მომგვრელია. სახელის მოხვეჭა მეტად ძნელი, ხშირად აუხდენელი ოცნებაა, სწორედ ამიტომ, ჩვენა აზრების აღსრულებისაკენ სწრაფვისას საკუთარ „მე“-ს წარმოვაჩენთ.

სრულქმნილი, ზნესრული ადამიანი, როგორც პიროვნება, სამ განზომილებაში შეიცნობს თავს: მოქმედებაში, ჭეშმარიტების ძიებასა და.... მონანიებაში, სიძნელეებს, ასე თუ ისე, მაინც არ ვუშინდებით, ჭეშმარიტის ძიებაში ხშირად ვცოდავთ, უქმად ვიხარჯებით. მონანიება არავის გვსურს — რა გვაქვს მოსანანიებელიო, ვამბობთ. არაფერი! დილის ცვარივით სუფთები, ანგელოზები ვართ, ფრთების ამოსვლასღა ველოდებით!

„რაც იყო, ახლაც ის არის!“

ჩვენს ირგვლივ, ჩვენში დღეს გასაოცარი ამბები, მოვლენები ხდება. ასე გვგონია...

ეკლესიასტი ამბობს:

„—მაგრამ ეს უკვე იყო საუკუნეებში“...

„—რაც იყო, ახლაც ის არის“...

„—და რაც იქნება, ის უკვე იყო“...

....

გვეგონა მონა გამოვდევნეთ ჩვენგან: ახლა ისღა დაგვრჩენია შური, ურთიერთქიშპიც გამოვდევნოთ. არადა, მონობა ისევ უკან უნდათ „ჩაგვიბრუნონ“, რადგან სიბრიყვეზე ვართ მომართულები...

მაგრამ ეს უკვე იყო...

რაც იყო, ახლაც ის არის...

და რაც იქნება, ის უკვე იყო...

ავთანდილ გველესიანი

ინფორმაცია

გიწვევთ ქართული ჟურნალისტიკის დღეზე!

21 მარტს, სამშაბათს, 12.00 საათზე, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში აღინიშნება ქართული ჟურნალისტიკის დღე.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია წლეულს მეორედ აღნიშნავს ამ პროფესიულ დღესასწაულს.

საქართველო-გერმანია: მატჩის ორგანიზაციის შესახებ

პრემიერმინისტრის მოადგილემ ირაკლი მენაღარიშვილმა მოიწვია მორიგი თათბირი ევროპის ჩემპიონატზე საქართველოსა და გერმანიის ეროვნული ნაკრები გუნდების შესარჩევი მატჩის გამართვის ორგანიზაციის შესახებ.

ბატონმა ირაკლი მენაღარიშვილმა მოისმინა ინფორმაციები სხვადასხვა უწყებების ხელმძღვანელებისაგან განხორციელებული სამუშაოების შესახებ. გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ. აღინიშნა, რომ ყველა ფორმალური და იურიდიული წესი დაცული უნდა იყოს. მატჩის ორგანიზაციის საბოლოო ნუსხა უახლოეს 3-4 დღეში იქნება წარმოდგენილი.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

ასპინძელებმა კვლავ იხილეს „ასპინძა“

ხანგრძლივი იძულებითი დუმილის შემდეგ ასპინძის რაიონის მოსახლეობამ მიიღო გაზეთი „ასპინძა“.

— შარშანდელი წელი ყველაზე მძიმე იყო რაიონული გაზეთის მკითხველებისათვის. — აღნიშნა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში გაზეთ „ასპინძის“ რედაქტორმა ნათელა ცისკარაძემ. — ელექტროენერგიის კრიზისმა ხანგრძლივად შეწყვიტა გაზეთის გამოშვება. ამან ფინანსური სიძნელეებიც წარმოშვა და რედაქციის თანამშრომლები უხელფასოდ დავრჩით. განადგურებული ეკონომიკა ვეღარ წაადგა ადგილობრივ ბიუჯეტს. ყველაზე გაჭირვებულთ დახმარების ხელი გაუწოდა საქართველოს საპატრიარქომ. გაზეთსაც გამოუჩნდნენ სპონსორები და „ასპინძამ“ კვლავ გაიკვლია გზა მკითხველამდე.

უკომპრომისო ბრძოლა დამნაშავეთა წინააღმდეგ გრძელდება

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, თბილისში განხორციელდა ფართომასშტაბიანი ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება, რის შედეგადაც გამოვლენილია — ყაჩაღობის 4, სახელმწიფო ქონების ქურდობის — 1, ავტომანქანის გატაცების — 2, პირადი ქონების ქურდობის — 8 ფაქტი. დააკავეს ძებნილები, ერთი „კანონიერი ქურდი“, ხულიგნები და ჯიბის ქურდები. სულ დაკავებულია 66 პირი. ჩამორთმეულია დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის, ავტომატები, სანადირო თოფები, „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტები, ხელყუმბარები, გამოავლინეს ნარკომანიის, გარყვნილების და არაკანონიერი სავაჭრო საქმიანობის ფაქტები.

გამოვლინდა ტყის უნებართვოდ ჭრის ფაქტები

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, ეკოლოგიის პოლიციის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა ქარელის, კასპის და გორის რაიონებში გამოავლინეს უნებართვოდ ტყის ჭრის ფაქტები. სახელმწიფოსადმი მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 470.300.000 კუპონი. გამოვლენილია აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 62 ფაქტი.

მოკვლეული მასალები გადაეცა შესაბამისი რაიონების პროკურატურას.

ამინ იყოს, ბატონო იგორ! ამინ იყოს!

სარედაქციო ფოსტიდან: ყველას თავისი აზრი აქვს

(დასასრული)

დაკვირვებული თვალი ინტერვიუში ისეთ ნიუანსებსაც გრძნობს, იგორ გიორგაძის წარსულიდან რომ იღებენ სათავეს. ბატონი იგორი მისთვის ჩვეული ტრაბახის სტილში აცხადებს: „მე პარლამენტის ტრიბუნიდანაც ვთქვი და თქვენი გაზეთის მეშვეობითაც ის, რასაც კიდევ ერთხელ გავიმეორებ: მინდა იცოდნენ თენგიზ კიტოვანის ახლობლებმაც და ნათესავებმაც, რომლებიც საყვედურს გამოთქვამენ — ეს არი კაცობა, აქამდე ხომ ერთად იყვნენო! —ჩემმა შვილმაც რომ განიზრახოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული მოქმედება, არ დავინდობ, თუ გვსურს ავაშენოთ ახალი სახელმწიფო, ასე უნდა მოვიქცეთ, არ შეიძლება „კარგი ბიჭობით“ სახელმწიფოს აშენება“.

მართალია, ამ წერილის ავტორი „ინფორმაციას“ არ ფლობს (ყოველ შემთხვევაში კგბ-ს ინფორმაციას), მაგრამ მოვლენების არსში ჩაღრმავება უყვარს. თენგიზ კიტოვანისა და იგორ გიორგაძის „ერთად ყოფნა“ სულ სხვა სიბრტყიდან იწყებოდა და ეს ყველაზე კარგად უშიშროების სამსახურის უფროსმა უწყის. მაგრამ დრონი მეფობენ. ბატონმა იგორმა ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც ასლან აბაშიძეზე გამოილაშქრა, მან ჯერ კიდევ არ იცის ამ შეცდომის ფასი, რადგან სურდა ეს თუ არა, იგი, პირველ რიგში, აჭარის, და არა მხოლოდ აჭარის, მოსახლეობას დაუპირისპირდა. და რა ქათინაურებითაც უნდა ილაპარაკოს აჭარაზე, რომელსაც ამაში მწარე ისტორიული გამოცდილება აქვს, ვარწმუნებ, რომ აქ მის სასარგებლოდ არჩევანი გამორიცხულია. ასეთია მოვლენათა განვითარების ლოგიკა.

ამის შემდგომ ისევ ბრალდებათა გრძელი ნუსხა მოდის, რომელთა შესახებ, ალბათ, სულ სხვა სიბრტყეზე უნდა მოხდეს საუბარი. მე ზემოთ აღვნიშნე, რომ ბრალდებათა (მხედველობაში მაქვს კონკრეტული ბრალდებანი) განსჯა-ანალიზს არ შევუდგები-მეთქი — ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის, მით უმეტეს, როგორც ერთი, ასევე მეორე მხარე საკმაოდ ინფორმირებულია, რასაც ვერ ვიტყვით ამ წერილის ავტორზე. მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას გადაჭრით, ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით: საქართველოში პოლიტიკური ტერორი მეფობს, გახსნით კი არც ერთი საქმე არ იხსნება, რაც ძალიან რბილად რომ ვთქვათ, დამაფიქრებელია და უცნაური.

ცალკე უნდა ითქვას ინტერვიუს იმ მონაკვეთზე, რომელშიც ბატონი იგორი ასლან აბაშიძის ძალზედ ნეგატიურ და ცალსახა პორტრეტს გვთავაზობს. ინტერვიუს ეს ნაწილი აშკარად ჭორების და მითქმა-მოთქმის საფუძველზეა შეთხზული. თუმცაღა უშიშროების შეფი ერთგან თავად ადანაშაულებს აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს სახელმწიფოს პოლიტიკური სამზარეულოს ჭორების დონეზე გამოტანა-გაშიშვლებაში. მე მინდა ამ მომენტზე განსაკუთრებით შევჩერდე.

დრომ დაადასტურა, რომ ასლან აბაშიძე პოლიტიკურ ავანტიურათა ქსელის მიღმა დგას. იმ პოლიტიკურ ავანტიურათა ქსელისა, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა და რომელიც უფრო მაღლიდან არის მართული. ასევე გადაურჩა ამ ქსელს აჭარაც. ეს მთელმა საქართველომ და არა მარტო საქართველომ იცის. ეს სასურველი რეალობა უპირველესად აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პოლიტიკური ბრძოლის იმ სტილისაგან გამომდინარეობს, რომელსაც პირობითად „თამაშის არევის“ სტილი შეიძლება ეწოდოს. დიახ, ასლან აბაშიძე, მართალია, იშვიათად, მაგრამ მაინც ამბობს იმას, რისი თქმაც „თამაშის წესებით“ არ შეიძლება. ამბობს იმიტომ, რომ მისთვის მთავარია არა „თამაში“ არამედ მიზანი, ანუ მშვიდობა საქართველოში. მისი უკანასკნელი განცხადებებიც ამ მიზნით იქცევა. რაც შეეხება სეპარატიზმს და განკერძოებას, იდეაში აბსოლუტურად ვეთანხმები იგორ გიორგაძეს — სეპარატიზმი დამღუპველია და მას პოლიტიკური მომავალი არა აქვს. ასლან აბაშიძე რომ სეპარატიზმისკენ მიდრეკილი პოლიტიკური ფიგურა იყოს, ამ წერილის ავტორი და საქართველოს სალად მოაზროვნე ნაწილი მის გვერდით არ იდგებოდა.

— მაპატიოს კადნიერება მკითხველმა, აჭარის ლიდერმა საქართველოს ისტორიის გარკვეულ ეტაპზე პოლიტიკური ავანტიურათა ქსელს აარიდა აჭარა, რითაც არა მარტო აჭარა, არამედ საქართველოც გადაარჩინა. მან ეს მოახერხა ცენტრალური ხელისუფლებისადმი გარკვეული „ურჩი“ პოლიტიკის წყალობით, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით. ვიტყვი ფაქტს: ასლან აბაშიძე არაერთგზის აცხადებდა, რომ აჭარაში გარკვეული ძალები შემოჭრას აპირებენ და რომ ამაში ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის ზოგიერთი წარმომადგენელია ჩარეული. სახელმწიფოს მეთაურს ეს არ სჯეროდა. მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დოკუმენტური მასალებით დაადასტურა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ხელთ არსებული ჯერ კიდევ მაშინდელი ინფორმაცია. რატომ ვამბობ ამას — სეპარატიზმი და სიფრთხილე სხვადასხვა ცნებებია. ასლან აბაშიძე სერიოზული პოლიტიკოსია და არ შეიძლება არ გრძნობდეს ინტეგრაციის სულს. რაც შეეხება რეგიონული თვითმმართველობის პრინციპს, რაზედაც აჭარის ლიდერი თავიდანვე ამახვილებდა ყურადღებას სხვადასხვა ასპექტში, ვფიქრობ, საქართველოს სამომავლო სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპად იქცევა.

აქვე მინდა შევჩერდე უშიშროების შეფის მიერ ინტერვიუში ქარაგმულად თუ პირდაპირ ჩართულ იმ განწყობილებაზე, რომელიც სახელმწიფოს მეთაურსა და აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს შორის შუღლის ჩამოგდებას ისახავს მიზნად. ამ წერილის ავტორი აძლევს თავს უფლებას ამ თემაზე საუბრისა, რადგანაც მას, როგორც სახელმწიფოს მეთაურის ყოფილ და აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ამჟამინდელ მრჩეველს აქვს ზოგიერთი დასკვნის გამოტანის საშუალება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ შუღლის ჩამოგდების მცდელობა, რა მოტივითაც უნდა „მართლდებოდეს“ იგი, მით უმეტეს საჯაროდ, პრესით და მით უმეტეს საქართველოს ისტორიის დღევანდელ ეტაპზე, სათავეშივე უხეირობაა, თუმცაღა, ამ ორ პიროვნებას შორის დაპირისპირების ტალღის აგორება ძალიან ძნელი საქმეა, რადგანაც, ჯერ ერთი, ისინი ადამიანურად საკმაოდ ახლოს არიან ერთმანეთთან (ამ ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს). მეორეც, ასლან აბაშიძემ იცის თავისი მოწოდება, სრულიად თავისუფალია ამბიციური ზრახვებისაგან და ამიტომ აქ გიორგაძე ვერაფერს გახდება.

ინტეგრაციის სული, რომელიც სახელმწიფოს მეთაურმა მსოფლიო პოლიტიკური სიბრტყიდან მოიტანა, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარისათვის უცხო არ არის. იგი კარგად გრძნობს თანამედროვეობას და იმასაც, რომ საქართველოსათვის ინტეგრაციისაკენ მიმავალი მთავარი გზა რუსეთზე გადის. რაც შეეხება გარკვეულ აზრთა სხვადასხვაობას (სხვადასხვაობას არა დაპირისპირების, არამედ სპექტრის გაგებით), იგი ყოველთვის იყო და იქნება, სანამ ეს ორი პოლიტიკური ფიგურა სხვადასხვა სიბრტყეზე და სხვადასხვა დიაპაზონით მოქმედებენ, რადგან მათი მოქმედების სივრცე და სიმაღლე სხვადასხვაა! არ ვიცი, რამდენად მართებულია პრესით ამაზე საუბარი, მაგრამ მე მინდა დავასრულო ერთი მაგალითით. ბატონი ედუარდი ქართული გვარდიის აფხაზეთში შეყვანის კატეგორიული წინააღმდეგი იყო, მაგრამ მაინც გადადგა ეს ნაბიჯი, უფრო კი ზუსტად აბობოქრებულ ტალღას მიჰყვა, რადგანაც სხვა გზა არ ჰქონდა. ამ წერილის ავტორი მაშინ მეთაურის აპარატში მუშაობდა და კარგად ახსოვს ეს მომენტი. ასევე კატეგორიული წინააღმდეგი იყო აფხაზეთში შესვლისა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე და მან დააფიქსირა კიდეც თავისი პოზიცია, ასე რომ, გარე, შეუიარაღებელი თვალისათვის ბევრი რამ გაუგებარია და მიუწვდომელი. ასეთი მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. რაც შეეხება ასლან აბაშიძის, როგორც პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის იმჟამინდელ ისტორიას, მე მაშინ ვთვლიდი და ახლაც ვთვლი: დღესდღეობით აჭარიდან მას ბევრად უფრო მეტი სარგებლობის მოტანა ძალუძს ქართული სახელმწიფოსათვის.

ასეა თუ ისე, უშიშროების შეფის მცდელობა შუღლი ჩამოაგდოს ამ ორ პოლიტიკურ ფიგურას შორის, სათავეშივე განწირულია. მომავალი ამას უფრო მკაფიოდ გვიჩვენებს.

ინტერვიუს ის ნაწილი, რომელიც 13 იანვრის „ავანტიურის აღკვეთას“ ეხება, აშკარად კარიკატურულია. მაპატიოს ბატონმა იგორმა, მკითხველმაც მაპატიოს — იქნებ ასეთი შეფასება „კორექტულობის საზღვრებს სცილდება, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას. ვიმეორებ, აქ იგორ გიორგაძის პიროვნება კი არ არის მთავარი, აქ მთავარია სახელმწიფოებრივი ხედვით ალვიქვათ საგნები და მოვლენები და აუცილებლად — ისტორიულ ჭრილში. საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ მას საქართველოს ისტორიის ურთულეს ეტაპზე მოუხდა ამ მძიმე ტვირთის ტარება — მხედველობაში მაქვს მისი თანამდებობა. სიმსუბუქე და ზედაპირულობა უშიშროების შეფს არ ეკადრება.

„მართლაც ვამაყობ, რომ ჩვენი დაგეგმილი ოპერაცია (კიტოვანის დაპატიმრება — ლ. ზ.) მაღალ პროფესიულ დონეზე ჩატარდა და ჩვენი უცხოელი კოლეგებიც, ოკეანის გაღმა უახლოესი მეგობრებიც ამავე აზრისანი არიან. ეს ისეთი გრძნობაა, რომელსაც ნებისმიერი პროფესიონალი კარგად იცნობს. აი თუნდაც, როდესაც ზურაბ ანჯაფარიძეს დიდ თეატრში ფეხზე ამდგარი მაყურებელი უკრავდა ტაშს, როდესაც ოვაციები გაუმართეს ჯანსუღ კახიძეს, განთქმულ სიმფონიურ ორკესტრს რომ უდირიჟორა მაშინ...“

ო, პოეზია, პოეზია! უგრძნეია უშიშროების სამსახურის უფროსს ხელოვნების მადლი, უგრძნეია. მაგრამ ერთი კითხვა: ვინ დაიპყრეთ, ბატონო იგორ? ჭანტურიას, სარიშვილის, ქურდაძის, კეკელიძის, გულუას, დათუაშვილის, ყარყარაშვილისა და სხვათა მკვლელები თუ თავდამსხმელები?! ვაი, უბედურო საქართველოვ!

პუნქტუმ-კონტრაპუნქტუმ: თავდაჯერებული პოზა, გამარჯვებულის ილუზია და ეიფორიული განცდა, რომელიც ახალქართული სახელმწიფოს უმაღლესი ეშელონის ზოგიერთი წარმომადგენლის ჟესტსა და მიმიკაში ილანდება, ქვეცნობიერ შრეებში რევანშისტული განწყობილებით სუნთქავს და ქართული სახელმწიფოსათვის დამღუპველია. ეროვნულმა ხელისუფლებამ პოლიტიკური გონის დეფიციტის გამო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეის ნაწილობრივი დისკრედიტება მოახდინა ამავე იდეითვე. ერის გახლეჩილი ცნობიერება ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობას მიაწყდა, აქედან რევანშიზმი — შურისგების კომპლექსი. დღევანდელი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი იმეორებს ძველი ხელისუფლების შეცდომებს. ასე შემდგარა გიორგაძესაც. მას თავი გამარჯვებული ჰგონია. დღეს საქართველოში არავინაა გამარჯვებული, რადგან საქართველოა თავად დამარცხებული. აქვე დავსძენ: ეროვნული მოძრაობის ის ბირთვი, რომელიც ნაციონალიზმის ჭაობში არ ჩაეფლო და რომელმაც ღრმად, როგორც სახელმწიფოებრივ, ასევე ისტორიულ ჭრილში გაიცნობიერა მართლმადიდებელი რუსეთის ფაქტორი საქართველოსათვის (ჩვენთვის სწორედ რუსულ სიბრტყეზე ხდება ინტეგრაციისაკენ სვლა) ჯერ კიდევ იტყვის თავის სიტყვას. ასლან აბაშიძის პოლიტიკური ფიგურა სწორედ ამ თვალსაზრისით არის საინტერესო.

ბატონმა იგორმა მაპატიოს მისთვის საინტერესო თემას რომ გადავუხვიე, მაგრამ ჩვენთვის მთავარი არა დაპირისპირებაა და მტყუან-მართლის გარჩევა, არამედ ამ დაპირისპირების არსში ჩაწვდომა და იმ გაკვეთილების გამოტანა, რომელიც მომავალ საქართველოს წაადგება. ბატონ იგორსაც ვურჩევ, გამოვიდეს და ტრანსიდან, იმ ეიფორიული შეგრძნება-განცდისგან, რომელიც მას, როგორც საქართველოს უშიშროების სამსახურის უფროსს რატომღაც დაუფლებია. აქ შეგნებულად ვარიდებ თავს გაუთავებელი ტრაბახისა და ქადილის ციტირებას გაურკვეველი მისამართებით, მკითხველი რომ არ გავაღიზიანო, ფინალს გავიხსენებ მხოლოდ: „რაც ვთქვი, მხოლოდ მინიშნებაა, ბოლო ზარია სპექტაკლის მორიგი მოქმედების დაწყების წინ...“

ამ ფრაზამ ერთი რუსული ფილმი გამახსენა, ივანე მრისხანე თანამედროვე საუკუნეში რომ მოხვდება. თქვენ აღმაშენებლის ეპოქიდან ხომ არ მოხვედით ჩვენთან ბატონო იგორ. ბასიანზე ხომ არ გგონიათ თავი ანდა დიდგორში? „სპექტაკლის მორიგი მოქმედების დაწყებაში“ აჭარას და მის მოსახლეობას აბუჩად იგდებთ. რით განსხვავდება თქვენი ეს წადილი კიტოვანის მუქარისგან? ვის უსინჯავთ ამით კბილს? ვინ დგას თქვენს ზურგს უკან? დაიმახსოვრეთ: აჭარა ამ თქვენს ქადილს არც დაივიწყებს და არც გაპატიებთ.

წამით მესტორიის ბრძენი თვალით გადმოვხედოთ დღევანდელ საქართველოს: ომი, სისხლი, უბედურება და მშვიდობის პატარა ოაზისი აჭარაში. ასე დაგვინახავს შთამომავლობა, რადგანაც შთამომავლობისათვის დღევანდელობაც ისტორიაა. ეს არის ღირებული — შთამომავლობის, ისტორიის მზერა. თორემ რა მნიშვნელობა აქვს, რას ვიტყვი მე, ან რას იტყვით თქვენ, ან რას იტყვის მავანი და მავანი ბატონო იგორ! შეეცადეთ ამ, ისტორიული, მაღალი თვალით თქვენთვის „საყვარელი აჭარის“ დანახვას, მისი თავკაცის დანახვასაც, იქნებ ამან დაგიწმინდოთ მზერა.

და, ბოლოს: „მიმაჩნია, რომ პარლამენტი საქართველოში თავის ფუნქციას ასრულებს და, რაც დრო გადის, უკეთესად, ის, რაც ჩვენ გვიკვირს და გვეხამუშება, სხვა პარლამენტებშიც ხდება. მზად ვარ გამოვიდე ამ პარლამენტის წინაშე...“ ჯერ ერთი, სამწუხაროდ, უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა სიტყვა არ შეასრულა და მეორეც: საკითხავია, ახლა რომელ პარლამენტს და პარლამენტის წევრებს უმღერით დითირამბებს და ცდილობთ ამ ეტაპზე მათ გადმობირებას: იმათ, რომელთაც ადრე კგბ-ს აგენტებად ნათლავდით და ფინანსურ-ეკონომიკურ მაქინაციებში სდებდით ბრალს? რამ გაიძულათ? რით არის გამოწვეული თქვენი ეს გაელვებითი ფერისცვალება? იქნებ პარლამენტარების ან ჩვენი ხალხის გულუბრყვილობისა და გულმავიწყობის იმედი გაქვთ? არ შეცდეთ! ნათქვამი სიტყვა გასროლილ ტყვიასა ჰგავს, იგი უკან არ ბრუნდება!

„გაზაფხულზე ხომ იღვიძებს ბუნება... მინდა, რომ ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა ახლადშენებარე სახელმწიფომ გაიღვიძოს, გაიღვიძოს და დაინახოს, რომ ის ძალები, რომლებიც საქართველოს გუშინდელი კი არა, უკვე გუშინწინდელი დღეა, ვეღარ შექმნიან პოლიტიკურ ამინდს. — ნამდვილი გაზაფხული დგება! ერთი სურვილი მაქვს — ყოფილიყოს ეს გაზაფხული იმის მომასწავებელი, რომ ლამაზ შემოდგომას შევხვდეთ, ერთიან, ძლიერ, გალაღებულ საქართველოში და ამ გაზაფხულის მომსწრე ქართველებმა, ხავერდოვან სეზონზე, შავი ზღვის სანაპიროზე აფხაზეთში დაისვენონ...“

ამინ იყოს, ბატონო იგორ! ამინ იყოს! ოღონდ პოეზიაა ესეც, იცით თქვენ კარგად. მეც მესტუმრა ერთხელ პოეზია, საქართველო რომ დამშვიდდება წიგნად შევკრავ და ასე დავარქმევ: „მე თქვენ გიმღერებთ ზღაპრის ბიჭის ლამაზ სიმღერას“... მერე ჩვენ ერთმანეთს შევხვდებით, მე და თქვენ ბულვარში, ანდა სანაპიროზე, ფინჯან ყავასთან გავიხსენებთ წარსულს (თქვენც ხომ ნატრობთ ამას, ბატონო იგორ! ზემოხსენებულ ინტერვიუში) და თქვენ შემრცხვებათ, მაგრამ მე თქვენ მაინც გაჩუქებთ წიგნს ლამაზი წარწერით, ვიცი, ბატონი ასლანი არ არის გულბოროტი, და მომცემს ამის უფლებას...

მანამდე კი ერთი პატარა სტროფი იქმარეთ „ხავერდოვან შემოდგომაზე“: „შემოდგომის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი...“

ლაზარე ზაქარიაძე.
ქ. ბათუმი.

სოროსის განათლების პროგრამის კონკურსი

სოროსის საერთაშორისო განათლების პროგრამა ზუსტ მეცნიერებებში აცხადებს კონკურსს „სოროსის დამსახურებული პროფესორის“ წოდებაზე. დამსახურებული პროფესორის წოდება მიენიჭება სამოცდაათ წელს გადაცილებულ მეცნიერებს, რომელთა წვლილი მსოფლიო საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოლოგია) მეტად მნიშვნელოვანია.

კანდიდატურის წარდგენა შეუძლია ნებისმიერ მეცნიერებათა დოქტორს შესაბამის დარგებში. თვითწარდგენა დაუშვებელია. მონაცემები წარდგენილ კანდიდატზე მიღებულ იქნება ქვემოთ მოთავსებული ანკეტის სახით.

ანკეტები წარდგენილი უნდა იქნეს ამა წლის პირველ აპრილამდე, შემდეგი მისამართით: ჭავჭავაძის გამზირი, 3, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსი, ოთახი № 154. (ყოველ დღე, გარდა შაბათ-კვირისა, 11-დან 16 საათამდე)

ანკეტა

1. ცნობები ნომინირებული კანდიდატების შესახებ

გვარი, სახელი, მამის სახელი —
დაბადების თარიღი —

ცნობები, რომლებიც წარმოადგენენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას წოდების მინიჭებისათვის;

მეცნიერული აღმოჩენები, მიღწევები (ზუსტად უნდა იყოს მითითებული აღმოჩენის დასახელება, დიპლომის ნომერი და გაცემის თარიღი);

ნებისმიერი სხვა მონაცემები, რომლებიც გააადვილებენ გადაწყვეტილების მიღებას.

ფორმალური მონაცემები:

სამეცნიერო ხარისხები და წოდებები (მინიჭების თარიღის მითითებით), სამამულო და უცხოური აკადემიების წევრობა და არჩევის თარიღი; კანდიდატის სამეცნიერო ჯილდოები ეროვნული და საერთაშორისო პრემიები მეცნიერების დარგში, სახელმწიფო პრემიები, საერთაშორისო კონგრესების და სამეცნიერო საზოგადოებების პრეზიდენტად, ვიცე-პრეზიდენტად ან გენერალურ მდივნად არჩევა საერთაშორისო გამომცემლობების, რედკოლეგიების წევრობა).

2. ცნობები ნომინატორის შესახებ

გვარი, სახელი, მამის სახელი—
სამუშაო ადგილი და თანამდებობა —
სამეცნიერო წოდებები და ხარისხები —
(მიღების თარიღის და დიპლომის ნომრების მითითებით).
მისამართი, ტელეფონი, ფაქსი —

„მაინც პატიოსნებამ გაიმარჯვა“

კანონის გზით ნავთობის მაფიის ასალაგმავად

შარშან, 28 ივნისს, **საქართველოს რესპუბლიკის კანონით სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში შეტანილმა ცვლილება-დამატებებმა „ნავთობის ნედლეულის, ნავთობსადენების, ნავთობპროდუქტების ან ნავთობგადამამუშავებელი ობიექტების განზრახ განადგურებისა ან დაზიანებისათვის, „აგრეთვე“ ნავთობის ნედლეულის ან ნავთობპროდუქტების უნებართვოდ რეწვისათვის“ — უმკაცრესი სასჯელები** დააწესა.

პირველმა ეიფორიამ მალე გაიარა, ვნებები ჩაცხრა და საქმე გაუმჯობესების მაგივრად, გაუარესდა. გეხსომებათ, სახელმწიფოს მეთაურის მითითება, რომ დრო აღარ იცდიდა, დაყოვნება არ შეიძლებოდა.

მაშინ, 11 ოქტომბერს, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, შეიქმნა ნავთობმომპოვებელი ობიექტებისა და ნავთობის დაცვის სპეციალური შტაბი, რომელშიც სამინისტროს თითქმის ყველა სამსახურის ხელმძღვანელი მუშაკები შევიდნენ.

როგორ იღვაწა ამ შტაბმა? რა წინააღმდეგობებს შეხვდა? რა შედეგები აქვს?

გვესაუბრება შტაბის ერთ-ერთი წევრი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, პოლიციის პოლკოვნიკი მამუკა კობახიძე.

— ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოგვარების მცდელობა 11 ოქტომბრამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო, მაგრამ ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოებისა და სამინისტროს ზოგიერთი სამსახურის ხელმძღვანელის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო, ყინული მაშინ არ დაძრულა. ამჟამად მოქმედმა შტაბმა თავიდანვე სწორად შეაფასა შექმნილი ვითარება, მინდობილი საქმის პრობლემურობა, დიდი მნიშვნელობა და, უნდა ითქვას, მთელი სერიოზულობით დაიწყო მუშაობა, — თქვა მამუკა კობახიძემ.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა საგარეჯოსა და გარდაბნის რაიონებში იყო; ამ აუგ საქმიანობას მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი მისდევდა, ამასთან აშკარად, რაიონის ადმინისტრაციული ორგანოების თვალწინ, მათი წაყრუებით და, ზოგიერთ შემთხვევაში, ხელშეწყობითაც კი.

სადღეისოდ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. განსაკუთრებით ივაჟკაცეს შინაგანი ჯარის შენაერთებმა, მათმა ხელმძღვანელობამ. როგორც ჩანს, ამ საქმეში მაინც პატიოსნებამ გაიმარჯვა, მან თქვა თავისი სიტყვა. **მაფიამ ვეღარ მოახერხა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან „შეკვრა“**, მათთან დანაშაულებრივი კავშირის დამყარება. ამიტომ უკვე სამმაგად გაიზარდა ნავთობის ნედლეულის მოპოვება, რაც მთავარია, მოხერხდა ყველა ჭაბურღილის საიმედოდ დაცვა. სწორედ უწესრიგობისა და მუქთი ნავთობის ფულში დამნაშავეთა ხელის ფათურის ბრალი იყო, უცხოელმა ინვესტორებმა ჩვენთან ურთიერთობა რომ არ ისურვეს?! — ახლა, როგორც შევიტყვე, ხელსაყრელი კონტაქტების დადება განახლდა.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

ცნობისათვის: ამ დროისათვის მოსახლეობას ჩამოერთვა 278 ნავთობსახდელი, ადგილზე განადგურდა 58 კუსტარული აპარატი, სახელმწიფოს ჩაბარდა 222 ტონა ნავთობი და სხვა.

ბოლო ღონისძიებების წინ შევთანხმდით, რომ იმ მოქალაქეების მიმართ, ვინც დააკმაყოფილებდა ჩვენს მოთხოვნებს და ხელს აიღებდა დანაშაულებრივ საქმიანობაზე, არ მივიღებდით მკაცრ სანქციებს. ფაქტობრივად, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სწორად შეაფასა შექმნილი სიტუაცია და ჩვენს ძალებს არ გასჭირვებიათ დაკისრებული მოვალეობის შესრულება; თუმცა ზოგიერთთან მაინც მოგვიწია სისხლის სამართლის კანონმდებლობის ენით საუბარი. მოგეხსენებათ, როგორ გამკაცრდა სანქციები აღნიშნული უკანონო საქმიანობისათვის, დაკონკრეტდა დანაშაულობათა სახეები, რამაც თავისთავად უნდა პოვოს ასახვა სამართალდამცავი ორგანოების მუშაობაში.

სამწუხაროდ, ყოველთვის როდი ხდება ასე. ცნობისათვის მოგახსენებთ, რომ ბოლო ღონისძიებების დაწყებიდან (იგულისხმება 11 ოქტომბერი) ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დატაცების ფაქტებზე აღძრულია 21 სისხლის სამართლის საქმე, აქედან, სასამართლოებში წარიმართა 16, წინასწარ პატიმრობაში აყვანილი იყო 19 პიროვნება.

საქმე ის არის, — დანანებით შენიშნა ბოლოს ბატონმა პოლკოვნიკმა, — რომ, თუნდაც სხვაზე არაფერი ვთქვათ, **ამ სენით ასე ძლიერ დაავადებული საგარეჯოს რაიონის სასამართლომ არც ერთ პირს არ მიუსაჯა საპატიმრო სასჯელი;** თუმცა, ბოლო ხანს პროკურორმა გააპროტესტა რამდენიმე საქმე.

რა ხდება? იბრძვიან შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები, იძიებენ საქმეებს, წარმართავენ სასამართლოებში და ისინი, რომელთა პასუხისგებაში მიცემა თითქოს გარდაუვალია, მაინც დაუსჯელნი რჩებიან!

აქვე ერთ ასეთ პარადოქსზეც მოგახსენებთ: პატარძეულის ტყეში, ეგრეთწოდებულ „ლაჯაბაურაზე“ დაუდგენელ ბოროტმოქმედებს 25 და 15 ტონა ტევადობის ავზები ნავთობის ნედლეულით აევსოთ, კუსტარული ნავთობსახდელიც მოეწყოთ.

რამდენჯერმე მისწერეს „საქნავთობის“ დეპარტამენტის ნავთობისა და გაზის მოპოვების სამმართველოს უფროსს ა. მახარაძეს, რომ გამოეყოთ სათანადო ტრანსპორტი და ნავთობის ნედლეული მთავარი შემკრები პუნქტისათვის ჩაებარებინათ.

საწვავი არა გვაქვს და ვერ გადავიტანთო უპასუხებიათ (?!)...

...მინისტრის პირველი მოადგილის, პოლიციის გენერალ ჯემალ მიქელაძის ხელმძღვანელობით შტაბი განაგრძობს მუშაობას.

დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ!

ზაურ მაქარაძე.

„ეიერ ჯორჯია“ საიმედოობის გარანტიას იძლევა

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 1993-1994 წლების მანძილზე ავიაკომპანია „ეიერ ჯორჯიას“ სავალუტო შემოსავლები ერთ-ერთი ყველაზე დიდია ქვეყნის ავიასაწარმოთა შორის. ამ პერიოდში მან გადარიცხა 50 ათას ამერიკულ დოლარზე მეტი. ეროვნულ ბანკსა და რესპუბლიკურ სავალუტო ფონდს კი მიჰყიდა სულ ცოტა 250 ათასი დოლარი. ეს საქინფორმის კორესპონდენტს **თენგიზ ჩიქვაძეს** აცნობა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის თავმჯდომარემ **ზურაბ ქანკოტაძემ.**

— ამ პერიოდში, — ხაზგასმით აღნიშნა მან, — ავიაკომპანიამ განახორციელა 100 რეისზე მეტი. ძირითადად, ფრანკფურტის, აგრეთვე მადრიდის, დელის, ლაიფციგისა და სხვა მიმართულებებით. ამ ავიაკომპანიას თავის ავიაპარკში აქვს თანამედროვე და ტექნიკურად უნაკლო რუსული წარმოების სამგზავრო თვითმფრინავები. ამავე დროს მან შეძლო რეგისტრაციაში გატარებულიყო საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციაში და მიეღო საერთაშორისო ავიაკოდი.

— განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო — დასძინა ზ. ქანკოტაძემ,— რომ „ეიერ ჯორჯიამ“ გერმანიიდან საქართველოში რესპუბლიკის მთავრობის შეკვეთით ჩამოიტანა კუპონები, ახალი პასპორტები და ვაუჩერები. ჩვენ ვაწარმოებთ დიპლომატიური ფოსტისა და საქართველოში აკრედიტებულ საელჩოთა ტვირთის გადაზიდვას. 1994 წელს ავიაკომპანიამ საქართველოში თავის ხარჯზე ჩამოიტანა ჰუმანური ტვირთები, მათ შორის იყო სხვადასხვა მედიკამენტური საშუალებები, ვაქცინები, ბავშვის საზრდო, ტანსაცმელი და სხვა. ჩამოტანილი ტვირთი [illegible] თბილისის აეროპორტის [illegible] ტერიტორიაზე მცხოვრებ აფხაზეთიდან ლტოლვილებს, აგრეთვე მრავალშვილიან ოჯახებსა და ერთ-ერთი სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებს, რომელსაც შეფობას უწევს წმინდა ბარბარეს ეკლესია. რაც შეეხება წამლებსა და ვაქცინებს, ისინი რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადაეცა. მათ შორის 4 მილიონი გერმანული მარკის ღირებულების დიფთერიტის ვაქცინებიანი ამპულების პარტია. ამ აქციის მეოხებით 400 ათასი ბავშვი და მოზრდილი საქართველოში გადაურჩა ამ ინფექციური სენით დაავადების საფრთხეს. „ეიერ ჯორჯია“ აგრეთვე ეხმარება ქვეყნის ერთ-ერთ ჰოსპიტალს სამედიცინო მოწყობილობისა და მედიკამენტების შეძენაში.

საბოლოო ანგარიშით, ავიაკომპანიამ გასული წლის მანძილზე ქველმოქმედებისათვის დახარჯა სულ ცოტა 30 ათასი ამერიკული დოლარი და დაახლოებით 13 მილიონი რუსული რუბლი საკუთარი სახსრებიდან..

— ჯერ კიდევ შარშან. —აღნიშნა „ეიერ ჯორჯიას“ პრეზიდენტმა დემურ ლელაძემ. — გავხსენით წარმომადგენლობა ფრანკფურტში, გაიხსნა „ეიერ ჯორჯიას“ წარმომადგენლობა სენაკში. სენაკის აეროპორტის ასაფრენ-დასაჯდომი ზოლის თანამედროვე შესაძლებლობათა გათვალისწინებით ვაპირებთ გავაფართოოთ ჩვენი საერთაშორისო ავიამარშრუტები. წლეულს, კი ვაპირებთ, გავხსნათ ავიარეისები ბერლინში, მადრიდში, ბუდაპეშტსა და ზოგიერთ აზიის ქვეყანაში.



ქუჩები კვლავ სავსეა მოულოდნელობით

3-დან 20 მარტამდე საქართველოს ტერიტორიაზე 13 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა მოხდა. დაიღუპა 9, დაშავდა 13 ადამიანი.

ამავე პერიოდში ავტომაგისტრალების საგზაო პოლიციის განყოფილებათა თანამშრომლებმა გამოავლინეს მოძრაობის წესების 2085 დამრღვევი, მათგან 68 კაცი ნასვამ მდგომარეობაში იყო, 38 მძღოლი უნომრო ავტოტრანსპორტს მართავდა, 43-ს არ ჰქონდა მძღოლის მოწმობა, 36-მა მოძრაობისას შექმნა აშკარა საავარიო სიტუაცია, 46 მძღოლი საგზაო პოლიციელის სიგნალის მოთხოვნებს არ დაემორჩილა.

კვირის განმავლობაში ავტომაგისტრალების საგზაო პოლიციის განყოფილებების სამოქმედო ტერიტორიებზე რეგისტრირებულია სისხლის სამართლის 6 დანაშაული.

5 მარტს საგზაო პოლიციის სამაჩაბლოს განყოფილების კარალეთის საგუშაგოზე, შემოწმების მიზნით „ვაზ“-2106“ მარკის ავტომანქანა გააჩერეს, მის მძღოლს ვ. წულუკიძეს აღმოაჩნდა 2,1 გ ნარკოტიკული ნივთიერება ოპიუმი.

ამავე დღეს, ჩუმათელეთში, თურქეთის მოქალაქეს ავტომანქანიდან მოპარეს 5 ყუთი ლუდი. ზემო ქართლის საგზაო პოლიციის განყოფილების თანამშრომლებმა გატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად ქურდობაში ეჭვმიტანილი პირები — ვაჟა თივათელიძე, გიორგი ბლიაძე, არჩილ ულუმბეგაშვილი და მერაბ ტაბატაძე დააკავეს.

6 მარტს თბილისი-გუგუთის საავტომობილო გზის მე-3 კილომეტრზე საგზაო პოლიციის ქვემო ქართლის განყოფილების თანამშრომლებმა მოქალაქე მევლუდ ისმაილის ძე მამედოვის ავტომანქანიდან ორლულიანი გადაჭრილი სანადირო თოფი ამოიღეს.

საგზაო პოლიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა სამსახურების ძალისხმევით რესპუბლიკის მთავარ ავტომაგისტრალებზე ყოველდღიურად ტარდება საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სისხლის სამართლის დანაშაულობათა აღკვეთა-აცილებისათვის გამიზნული ღონისძიებები.

რეიდები სასურველი წესრიგის დამყარებამდე გაგრძელდება.

საქართველოს შსს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესცენტრი.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა 1995 წლის 17 მარტიდან დაადგინა კუპონის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	969,409.76	კუპონი
ავსტრიული შილინგი	131,001.91	კუპონი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	2,069,468.96	კუპონი
10 ბელგიური ფრანკი	445,683.26	კუპონი
გერმანული მარკა	922,877.94	კუპონი
ჰოლანდიური გულდენი	821,587.79	კუპონი
დანიური კრონი	229,326.28	კუპონი
100 იტალიური ლირა	76,945.86	კუპონი
კანადური დოლარი	918,582.71	კუპონი
ნორვეგიული კრონი	206,698.07	კუპონი
აშშ დოლარი	1,300,000.00	კუპონი
ფინური მარკა	294,951.03	კუპონი
ფრანგული ფრანკი	258,965.06	კუპონი
შვედური კრონი	179,087.87	კუპონი
შვეიცარიული ფრანკი	1,104,972.48	კუპონი
10 იაპონური იენი	143,093.58	კუპონი
ეკიუ	1,684,671.18	კუპონი
10 ესპანური პესეტა	100,[illegible]84.14	კუპონი
10 ბერძნული დრაქმა	56,792.08	კუპონი
ირლანდიური გირვანქა	2,060,239.89	კუპონი
ისლანდიური კრონი	20,192.25	კუპონი
ქუვეიტური დინარი	4,399,323.31	კუპონი
10 ლიბანური გირვანქა	7,946.43	კუპონი
10 პორტუგალიური ესკუდო	87,471.31	კუპონი
სინგაპურული დოლარი	918,078.55	კუპონი
10 თურქული ლირა	311.03	კუპონი
ეგვიპტური გირვანქა	383,594.96	კუპონი
რუსული რუბლი	276.06	კუპონი
ლიტვური ლიტი	325,887.00	კუპონი
ლატვიური ლატი	2,391,882.56	კუპონი
ესტონური კრონი	115,610.88	კუპონი
100 უკრაინული კარბოვანეცი	897.00	კუპონი
ყაზახეთის ტენგე	22,080.00	კუპონი
მოლდავეთის ლეი	297,613.56	კუპონი
ყირგიზეთის სომი	120,697.56	კუპონი
10 ბელორუსიის მანეთი	996.36	კუპონი
უზბეკეთის სუმი	52,141.92	კუპონი
აზერბაიჯანული მანათი	300.84	კუპონი
სომხური დრამი	3,207.12	კუპონი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

შვილები დიმიტრი, ინა, სვეტლანა კაზაჩკინები, შვილიშვილები დათო, ნინო, ნინა, ირინა, ნიკოლოზი, ძმისშვილები მანანა, ზიზი, მადონა, დეიდაშვილები ტუტანა, ლიდა ასამბაძეები, კოკა ტიკარაძე, რძლები ნელი სახოკია, გალინა კაზაჩკინა, მარიკა ნიჟარაძე, გაიოზ, ინა ვადაჭკორიები, ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნიკოლოზ დიმიტრის ძე კაზაჩკინი

პანაშვიდი 17, 18/III, 4 ს., გამოსვენება 19/III, 2 ს. ბარნოვის 124, (მე-3 სადარბაზო).

იყიდება

1-ოთახიანი სუფთა ბინა ლოჯიით. პირველი სართული, ფასი შეთანხმებით.

მისამართი: მუხიანი, მე-3 მ/რ., კორპ. 19, ბინა 1[illegible]. ტ.: 51-57-19, გიზო.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.
ინდექსი 66434